

ავტორები: ანტონ ვაჭარაძე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მუხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი

ირაკლი ვეშაგურიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი

ეკა კალანდაძე, IDFI-ის მუხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების უმცროსი მკვლევარი

ედგარ ბრუტიანი, IDFI-ის მუხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ანალიტიკოსი

სოფო გელაძა, საქართველოს უნივერსიტეტის (UG) საგამოძიებო მედიალაბორატორიის ხელმძღვანელი

რედაქტორები: ნინო გოზალიშვილი, IDFI-ის მუხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ასოცირებული მკვლევარი

ლევან ავალიშვილი, პროგრამების დირექტორი, IDFI-ის თანადამფუძნებელი

საგაზეთო სტატიები მოიპოვეს და მასალა დაამუშავეს:

ელიტა ხმელიძე, საქართველოს უნივერსიტეტის (UG) და IDFI-ის სასწავლო პროგრამის - დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები - კურსდამთავრებული

ნანა ერთელიშვილი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

გოგა ნიჭარაძე, UG-ის ჟურნალისტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის კურსდამთავრებული

INSTITUTE FOR
WAR & PEACE REPORTING



IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. IWPR შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შესავალი

რუსეთი აქტიურად იყენებს თავის ეკონომიკურ, ფინანსურ, პოლიტიკურ და საინფორმაციო ბერკეტებს და მიმართავს საინფორმაციო ომსა და პროპაგანდას ყოფილი საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საკუთარ ორბიტაზე დასაბრუნებლად. გრძელვადიანი საბჭოთა პროპაგანდისა და მისი თანამედროვე გამოძახილის გამო, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კვლავ არსებობს როგორც ნოსტალგია ერთიანი საბჭოთა კავშირის მიმართ, ისე შიში ევროპული ღირებულებების, ცხოვრების წესის და, ზოგადად, საზოგადოებისადმი.

მიმდინარე კვლევის მიზანია ანტიდასავლური პროპაგანდის ისტორიული საწყისებისა და ტრადიციების უკეთ გააზრება, რომელსაც დღემდე აქტიურად იყენებს თანამედროვე კრემლის რეჟიმი და მისი საინფორმაციო არხები. აღნიშნული კვლევის ძირითადი აქცენტი გაკეთდა 1970-იანი წლების ქართულ პრესაში შექმნილი ანტიდასავლური ნარატივის ანალიზზე. კვლევის ფარგლებში განხილულია ანტიდასავლური დისკურსის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განზომილებები ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და გავლენიან გაზეთ „კომუნისტში“, რომელიც ყოველდღიურ საინფორმაციო ომს აწარმოებდა დასავლეთის წინააღმდეგ. ასევე ანტიდასავლური პროპაგანდის გრძელვადიანი ხასიათისა და მისი ისტორიული წყაროების გაცნობიერების ზრდა და ურთიერთკავშირების ჩვენება თანამედროვე რუსულ პროპაგანდასთან.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა გაზეთ „კომუნისტის“ ათწლიანი პერიოდი (1970 წლიდან 1980 წლის შუამდე) ნარატივისა და დისკურსის ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით. ავტორებმა კვლევის რაკურსი, ძირითადად, მიმართეს ნარატივებისკენ, რომლებიც მოიცავდა მითითებებს დასავლურ მაგალითებზე, საერთაშორისო ახალი ამბების გავრცელებასა და შედარებებზე სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების გაშუქების პროცესში.

კვლევის ეტაპად 1970-იანი წლების არჩევა განაპირობა იმან, რომ აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა საერთაშორისო მასშტაბის მნიშვნელოვანი ისტორიული ძვრები, რომლებსაც სსრკ აქტიურად აშუქებდა. მათ შორისაა ანტისაომარი გამოსვლები ამერიკაში და აშშ-ის მიერ ვიეტნამიდან ჯარების გაყვანა; ირანში შაჰის ჩამოგდება და ისლამური რესპუბლიკის დაარსება; ომი ახლო აღმოსავლეთში ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის; საბჭოთა ჯარების შეყვანა ავღანეთში და მრავალი სხვა. სსრკ-ის მიერ ზუსტად ამ საერთაშორისო ამბების გაშუქებისას იკვეთება დეზინფორმაციისა და პროპაგანდის

საბჭოური მეთოდოლოგია, რომლითაც, ერთი მხრივ, ცდილობდა დასავლეთის დემონიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი რეჟიმის გამყარებას. აღნიშნული ნარატივები კი დღემდე გამოიყენება თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსებში ანტიდასავლური განწყობების შესაქმნელად და გასამყარებლად.

ისტორიული კონტექსტის მიმოხილვა

ცივი ომის პერიოდში, განსაკუთრებით, 60-იან და 70-იან წლებში, პროპაგანდისტული ნარატივების მედიის მეშვეობით გავრცელება „რბილი ძალის“ აქტუალური იარაღი გახდა. მაშინ, ცივი ომისთვის დამახასიათებელი კონკურენტული გარემოდან გამომდინარე, ამერიკელ და საბჭოთა კავშირის ხალხებს ერთმანეთისადმი დიდი ინტერესი გააჩნდათ. აინტერესებდათ, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები „რკინის ფარდის“ მეორე მხარეს, რას გრძნობენ, რით საზრდოობენ და როგორ აღიქვამენ ოკეანის გადაღმა მცხოვრებთ, მათ ყოველდღიურ ყოფას. ამერიკული მედია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას დიდი სირთულით მოპოვებული ინფორმაციით ცდილობდა. თუმცა, რიგი ფაქტორების გამო (საბჭოთა კავშირის კომუნიკაციის პოლიტიკა, აშშ-ში გავრცელებული სტერეოტიპები და ა.შ.) ის მაინც არ იყო ზუსტი, რაც ამერიკელ ხალხში საბჭოთა მოქალაქეებზე სტერეოტიპების გაძლიერებას უწყობდა ხელს. ამის უმთავრეს მიზეზად მოიაზრება ის ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც კომუნისტურმა რეჟიმმა შექმნა სსრკ-ში.

სსრკ, მსოფლიოს პირველი „პროპაგანდისტული სახელმწიფო“¹, ეფუძნებოდა ორ საყრდენს – პროპაგანდასა და რეპრესიას ან, ლენინის სიტყვებით, ბალანსს დარწმუნებასა და დაძალებას შორის². ქვეყანაში ორი ტიპის პროპაგანდა იყო გავრცელებული – ნეიტრალური („უბრალო პროპაგანდა“, რომელსაც დასავლეთიც ახორციელებდა) და ნეგატიური (ტვინების გამორეცხვა)³ ეს უკანასკნელი, რეჟიმის ტოტალიტარული ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა. საბჭოთა კონსტიტუცია, თავის მხრივ, გამოხატვისა და მედიის თავისუფლებებს, ექსკლუზიურად, სოციალიზმის გავრცელების მიზნით უზრუნველყოფდა. შესაბამისად, „სოციალისტური“ რეჟიმის ან კომუნისტური პარტიის კრიტიკა „ანტი-სოციალისტურ აქტივობად“ მიიჩნეოდა

¹ Peter Kenez, *The Birth of the Propaganda State : Soviet Methods of Mass Mobilization, 1917-1929* (Cambridge, Cambridge University Press, 1985), 4.

² Alex Inkeles, Raymond Bauer, *The Soviet Citizen : Daily Life in a Totalitarian Society* (Cambridge : Harvard University Press, 1959), 7 ; See also Alex Inkeles, *Public Opinion in Soviet Russia : a Study in Mass Persuasion*, vol. 1 (Harvard University Press, 1958).

³ Roth Ey, Kristin, and Larissa Zakharova. "Communications and Media in the USSR and Eastern Europe." *Cahiers Du Monde Russe* 56, no. 2-3 (April 17, 2015): 273-89. <https://doi.org/10.4000/monderusse>. 8182 .

და სისხლის სამართლის კოდექსით⁴ ისჯებოდა. არსებობდა საბჭოთა ჟურნალისტების დოქტრინაც კი, რომელიც კომუნისტურ პარტიას აძლევდა უფლებას, ჟურნალისტისგან იდეოლოგიური სიცხადე მოეთხოვა.⁵ როგორც მედია მკვლევარი, ებ ლაუკი წერდა: „საბჭოთა მედიის მთავარი ფუნქცია იყო, ყოფილიყო იდეოლოგიური იარაღი პარტიის ხელში“⁶. ყველა ჟურნალისტს პარტიული დღის წესრიგით უნდა ეხელმძღვანელა; ამას გარდა, მათ შეზღუდული ჰქონდათ წვდომა დასავლურ წყაროებზე. მეორე მხრივ, საბჭოთა რეჟიმს მკაცრი შეზღუდვები ჰქონდა დასავლეთიდან წამოსულ კორესპონდენტებზე. ასეთ პირობებში, ერთი მხრივ, დასავლელ ხალხს არ ჰქონდა ინფორმაცია საბჭოთა ხალხზე და, მეორე მხრივ, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები „ფარდის“ მიღმა.

ამგვარი ტოტალური კონტროლი ინფორმაციაზე კომუნისტურ პარტიას ქვეყნის სადავების შენარჩუნებას უმარტივებდა. ინფორმაციის ერთადერთი წყარო პარტიული ელიტა იყო და შესაბამისად იყენებდა ტექნიკურ თუ ადამიანურ რესურსს მისთვის ხელსაყრელი ნარატივების გაძლიერებისთვის. პარტიულ “სიმართლესა” და რეალობას შორის საზღვრის გავლება კი უფრო და უფრო რთული ხდებოდა რიგითი მოქალაქისთვის.

საბჭოთა სისტემის სათავეში მყოფთ კარგად ესმოდათ პროპაგანდის მნიშვნელობა, ამიტომ ცივი ომის დაწყებისთანავე პროპაგანდა ცალკე პროფესიადაც კი გამოყვეს. თუ სტალინის პერიოდში პროპაგანდის კურსებს, ძირითადად, პარტიის წევრებს ასმენინებდნენ, ხრუშჩოვის დროს, 60-იანი წლებიდან, მას უკვე არაპარტიული მოქალაქეებიც გადიოდნენ⁷.

⁴ Epp Lauk, Petr Šámal, and Teodora Shek Brnardić, “The Protean Nature of Communist Censorship: The Testimony of Collections,” in Handbook of COURAGE: Cultural Opposition and Its Heritage in Eastern Europe, ed. Balázs Apór, Péter Apór and Sándor Horváth (2019), available: <http://cultural-opposition.eu/activities/handbook/>.

⁵ Jaromír Volek and Marína Urbániková, “Predictors of Mistrust: Towards Basic Characteristics of Czech Mistrusting News Media Audiences,” *Observatorio (OBS*)* 12, no. 1 (2018): 01–18

⁶ Epp Lauk, “Estonian Journalists in Search of New Professional Identity,” *Javnost-The Public* 3, no. 4 (1996): 95; see also: Peeter Vihalemm and Marju Lauristin, “Political Control and Ideological Canonisation. The Estonian Press during the Soviet Period,” in *Vom Instrument der Partei zur Vierten Gewalt: die ostmitteleuropäische Presse als zeithistorische Quelle*, ed. Mühle, Eduard (Marburg: Verlag Herder-Institut, 1997): 103–109

⁷ Mickiewicz, Ellen. “The Modernization of Party Propaganda in the USSR.” *Slavic Review* 30, no. 2 (June 1971): 257–76. <https://doi.org/10.2307/2494240>.

Table 1. *Distribution of Propaganda Personnel*

Year	Propagandists	Location	CPSU Members	Students in Propaganda System	Party Members per Propagandist (ratio)	Students per Propagandist (ratio)
1964/65	1,100,000	USSR	11,022,369	36,000,000	9:1	30:1
1965/66	900,000	USSR	12,357,108	12,000,000	13:1	13:1
1967/68	1,000,000	USSR	13,180,000	14,500,000	13:1	14:1
1968/69	1,100,000	USSR	—	15,000,000	—	13:1
<i>Subnational Figures</i>						
1967/68	6,300	Armenia	200,605	—	31:1	—
1967/68	1,795	Georgia	209,196	—	116:1	—
1965/66	43,907	Uzbekistan	193,600	—	4:1	—
1967/68	75,000	Moscow	730,000	850,000	9:1	11:1
(March 1966)						

ფიგურა 1: პროპაგანდისტების განაწილება საბჭოთა კავშირსა და ცალკეულ სახელმწიფოებში⁸

ე.წ. „სოციალისტური ღირებულებების“ პროპაგანდის გარდა, საბჭოთა მედია ახორციელებდა ნეგატიურ პროპაგანდასაც, რომლის მიზანი დასავლეთის დისკრედიტაცია და დემონიზება იყო. როგორც „პრესის ოთხ თეორიამია“ აღნიშნული⁹, საბჭოთა-კომუნისტური თეორიით, პრესა ემსახურებოდა მხოლოდ პარტიის ინტერესებსა და კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ბოროტებების „გამომზეურებას“. ამ მიზნით, მედიის მთელი საქმიანობა უნდა შეთანხმებულიყო პრესის სააგენტო „ნოვოსტისთან“ (Агентство печати «Новости»/ Novosti Press Agency (APN)), რომელიც 1961 წელს საზღვარგარეთ პროპაგანდის გავრცელების მიზნით დაარსდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ APN, საბჭოთა პროპაგანდის მთავარი მედიასამუშაოა, არ გაუქმებულა და ის სახეშეცვლილი ფორმით დღესაც არსებობს „რია ნოვოსტის“ («РИА Новости» [RIA News]) სახით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ექვემდებარება ფედერალურ სახელმწიფო უნიტარულ კომპანიას „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოს „რასია სევოდნია“ [რუსეთი დღეს] (Федеральное государственное унитарное предприятие «Международное информационное агентство «Россия сегодня») საზღვარგარეთ თანამედროვე რუსული პროპაგანდის მთავარ იარაღს. 2013 წელს პუტინის განკარგულებით შეიქმნა და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი „რია ნოვოსტი“ მედიაჯგუფ Russia Today-დ გადაკეთდა,

⁸ Ellen Mickiewicz, *The Modernization of Party Propaganda in the USSR*, Slavic Review, Volume 30, Issue 2, June 1971, pp. 257 - 276.

⁹ B. K. "Four Theories of the Press: The Authoritarian, Libertarian, Social Responsibility, and Soviet Communist Concepts of What the Press Should Be and Do." *International Affairs* 33, no. 4 (October 1957): 464–464. <https://doi.org/10.2307/2606845>.

რომელმაც მედიასააგენტოს სახით გააგრძელა საქმიანობა. სწორედ ზემოთ ხსენებული მედიაჯგუფი და მასში შემავალი „სპუტნიკი“¹⁰ («Спутник» / Sputnik] და Russia Today-ის სხვა მედია სააგენტოებია დღეს რუსეთის ფედერაციის პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მთავარი წყარო ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ყველა ეს მედიასაშუალება კი ერთი ქოლგა კომპანიის მმართველობის ქვეშაა, რომელიც კრემლის მიერაა შექმნილი. შესაბამისად, სახელმწიფო განსაზღვრავს მათ სარედაქციო თუ სხვა სახის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ფორმალურად იყო „გაერთიანებული მრავალფეროვნებაში“, სადაც ყველა ქვეყანას, საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით, თვითგამორკვევის უფლება უნდა ჰქონოდა, ხშირად აკრიტიკებდა აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის პლურალისტურ პოლიტიკურ სტრუქტურებს „არასტაბილურობის“ გამო და ცდილობდა იმის წარმოჩენას, რომ დასავლურ სისტემაში განხეთქილება იყო. ის, რასაც საბჭოელები არასტაბილურობას უწოდებდნენ, რეალურად იყო აზრთა სხვადასხვაობა, ჯანსაღი საზოგადოებრივი დისკუსია და დემოკრატიული მმართველობის სისტემა. მაგალითისთვის, აშშ-ში ეს გამოიხატებოდა ხელისუფლების დანაწილების უზრუნველყოფაში, რის გამოც ხშირი იყო პოლემიკა, უთანხმოება პრეზიდენტსა და კონგრესს შორის, რაც დემოკრატიის პირობებში ბუნებრივი მოცემულობაა; ხოლო ევროკავშირის „კრიტიკის“ საბაბს სსრკ-ს ევროკომისიასა და ევროპულ საბჭოს შორის ძალაუფლების დანაწილება აძლევდა.

სსრკ-ში, ერთპარტიული სისტემის პირობებში, ნებისმიერი განსხვავებული აზრი, რომელიც კომპარტიის დღის წესრიგს ეწინააღმდეგებოდა, იხშობოდა. ამის ფონზე კი, ის ცდილობდა დასავლეთის დისკრედიტაციასა და საკუთარი რეჟიმის სიმყარეზე აპელირებას. საინტერესოა, რომ იმავე საკითხებით მანიპულირება თანამედროვე რუსეთშიც გრძელდება — ამ კუთხით, ყველაზე მასშტაბური დეზინფორმაციული კამპანია მიმდინარეობდა 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებისა და 2019 წლის ევროპარლამენტის არჩევნების დროს¹¹. თანამედროვე რუსეთის მიზანი არის დასავლური საზოგადოების პოლარიზება და ხელისუფლებისადმი, დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის შემცირება. ამაზე დაყრდნობით ევროკომისიამ რუსული დეზინფორმაციული კამპანია ევროკავშირისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ შერაცხა და ასე განმარტა დეზინფორმაცია: „დადასტურებულად მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, რომელიც შეიქმნა და გავრცელდა ეკონომიკური სარგებლის მიღების ან საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანის მიზნით“.¹² აღსანიშნავია, რომ ტერმინი „დეზინფორმაცია“ (disinformation) მსოფლიო

¹⁰ რუსეთის უკრაინაში შეჭრისას ზუსტად ამ მედია სააგენტოს შეეშალა და დროზე ადრე გამოაქვეყნა სტატია „რუსეთის თავდასხმა/ მოზრძანება და ახალი მსოფლიო წესრიგი“ (Наступление России и нового мира), რომელშიც რუსეთის სწრაფ გამარჯვებაზე და ახალ მსოფლიო წესრიგზე იყო საუბარი.

¹¹ Carnegie Europe. “Russia’s Long-Term Campaign of Disinformation in Europe.” Accessed December 13, 2022. <https://carnegieeurope.eu/strategiceurope/81322>.

¹² “Tackling Online Disinformation | Shaping Europe’s Digital Future.” Accessed December 13, 2022. <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/online-disinformation>.

ლექსიკონებში სწორედ საბჭოთა პროპაგანდის აღსანიშნავად შემოიღეს. ამ ცნებას, ტერმინის საერთაშორისოდ დამკვიდრებამდე, ინგლისური წარმომავლობის სიტყვა „მისინფორმაცია“ (misinformation) აღნიშნავდა და გულისხმობდა არასწორ ინფორმაციას, რომელიც ადამიანთა განზრახ მოტყუების მიზნით გაავრცელეს. თუმცა დეზინფორმაციამ ეს კამპანია სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა და დიდი მასშტაბები მოიცვა. ამ პროცესს, მოგვიანებით, ციფრულმა რეალობამ და სოციალურმა მედიამ შეუწყო ხელი.¹³

გაზეთების ანალიზი

1970-1975 წლები:

დასავლური სამყაროს შესახებ „კომუნისტი“ ყველაზე აქტიურად განიხილავდა შემდეგ საკითხებს: აშშ და მისი გავლენა სხვა სახელმწიფოებზე, „აგრესორი მილიტარისტი“ ნატო და ანტაგონიზმი მის წევრ ქვეყნებს შორის, ვიეტნამის ომი, ისრაელის მილიტარიზმი/სიონიზმი და პალესტინის გათავისუფლება; კაპიტალისტური სისტემის პრობლემები: უმუშევრობა, შავკანიანების (გამოყენებულია „ზანგები“) ჩაგვრა, სოციალისტური წინააღმდეგობა და გაფიცვები, ფასების ზრდა, ქალთა ნაკლები უფლებები მამაკაცებთან შედარებით, კორუფცია; კანონის უზენაესობის უგულებელყოფა (ძირითადად, სათაურებით – „კანონები ქალაქზე რჩება“), ნეოფაშისტური და ნეონაცისტური ჯგუფების საქმიანობა და მრავალი სხვა საკითხი.

რაც შეეხება გეოგრაფიულ არეალს, გაზეთში ინფორმაცია ვრცელდებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაზე და მოიცავდა ევროპას, სამხრეთ ამერიკას, აზიის ქვეყნებს, აფრიკას, აშშ-ს, „ცხელ წერტილებს“ – ახლო აღმოსავლეთს, ინდოჩინეთს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საინფორმაციო რუბრიკასა თუ ცნობას ამერიკის, ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, გაზეთი „კომუნისტი“ ურთავდა ისეთ მნიშვნელოვან მინიშნებებს, რომლებიც პრეფერენციულ როლში გვიხატავს აშშ-ის მისწრაფებებს საერთაშორისო სარბიელზე.

1970-1975 წლებში გაზეთ „კომუნისტის“ საერთაშორისო კონტენტის უმთავრესი საკითხი იყო ვიეტნამის ომი, რომელსაც ეხმაურებოდა თითქმის ყოველ ნომერში. ყურადღება, ძირითადად, ეთმობოდა რამდენიმე თემას: სამხედრო სიახლეები და ფრონტის ხაზი, სხვა დასავლური ქვეყნების ჩართულობა, ამერიკელ სამხედროებში გავრცელებული ნარკომანია

¹³ Carnegie Europe. “Russia’s Long-Term Campaign of Disinformation in Europe.” Accessed December 13, 2022. <https://carnegieeurope.eu/strategiceurope/81322>.

და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები, სამხედრო დანაშაულები, რომელთა გამოც სასამართლოზე მხოლოდ ერთეულები წარდგებიან და მათ უმეტესობას ამართლებენ. 1970-1971 წლების ნომერებში დიდი ყურადღება ეთმობოდა „სონგმის ტრაგედიას“ (1968 წ. 16 მარტის ტრაგედია, როდესაც რამდენიმე ასეული მშვიდობიანი მოსახლე დახვრიტეს). 1970 წლის 16 იანვრის ნომერში (№12 (14957)) დაბეჭდილი იყო სონგმის მსხვერპლთა ფოტოსურათი.

ამავე წლებში საუბარია ამერიკელი სამხედროების სასამართლო პროცესზე, რიგითი სამხედროების გასამართლებაზე, ხოლო მაღალი თანამდებობის ოფიცრებს კი ბრალდება მოუხსნეს. 8 იანვრის ნომერში (1971 წ. №6 (15257)) „კომუნისტი“ წერდა, რომ ამერიკის სამხედრო ხელისუფლებამ ოთხ ოფიცერს ყველა ბრალდება მოუხსნა „განაცხადა რა, რომ საკმარის დამამტკიცებელი საბუთები არ მოიპოვება, სამხედრო მართლმსაჯულებამ შეწყვიტა პოდპოლკოვნიკების დ. გევინისა და უ. გუინის, მაიორების ჩ. კელჰაუნისა და ფ. უოტკეს საქმის გამოძიება“. გაზეთი დასასრულს აღნიშნავდა, რომ ამერიკის ხელისუფლება იცავდა დამნაშავეებს, რითაც არღვევდა პირობას, რომ „სამაგალითოდ დასჯიდა“ მათ.

1970-1972 წწ. განმავლობაში „კომუნისტი“ აქტიურად აშუქებდა აშშ-ისრაელის ურთიერთობას, ხშირად ებრაელებს ფაშისტებად და სიონისტებად მოიხსენიებდა და არაბების ჩაგვრაზე ამახვილებდა ყურადღებას. გაზეთი უამრავ კარიკატურას უძღვნიდა ამ საკითხს.

ანტისემიტური განწყობის საჩვენებლად გამოირჩევა „კომუნისტის“ 1972 წლის 7 სექტემბრის (№210 (15764)) სტატია „ინციდენტი ოლიმპიურ სოფელში“. სტატიაში ვხვდებით შემდეგ ინფორმაციას: „მე-20 ოლიმპიურ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. დაუბემ განაცხადა, რომ ოლიმპიურ სოფელში, შენობას, რომელშიც ცხოვრობენ ისრაელის სპორტული დელეგაციის წევრები, თავს დაესხა პირთა ჯგუფი, რომლებიც, როგორც აქ ამბობენ, ეკუთვნიან პალესტინის ექსტრემისტულ ორგანიზაციას „შავ სექტემბერს“. ამ თავდასხმის შედეგად არის მსხვერპლი.“

აღსანიშნავია, რომ 1970-იანი წლების ტრაგიკული მოვლენა¹⁴, რომელსაც ისრაელის დელეგაციის 11 წარმომადგენლისა და დასავლეთ გერმანელი პოლიციელის სიკვდილი მოჰყვა, მცირე სვეტში, მშრალად არის განხილული და „ინციდენტი ოლიმპიურ სოფელში“ ეწოდება. დასავლური სამყაროს მოსახლეობა, პრაქტიკულად, პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს 20-საათიან ტერორს, რომელიც ოლიმპიური თამაშების დროს მოაწყვეს, რასაც „კომუნისტი“ ზედაპირულად გამოეხმაურა.

¹⁴ იხილეთ მეტი ბმულზე: <https://www.britannica.com/event/Munich-Massacre>



„კომუნისტი“, 7 სექტემბერი, 1972, (№210 (15764))

1970-1972 წლებში ერთ-ერთი თემა იყო უმუშევრობა, ინფლაცია, ფასების ზრდა. 1970 წ. 10 იანვრის ნომრის (№7 (14952)) ერთ-ერთი სტატია, აშშ-ის ეკონომიკის შესახებ, ასე იწყება: „ინფლაციისა და მატერიალური მდგომარეობისათვის შემოფოთების ვითარებაში დაიწყო მილიონობით ამერიკელისათვის ახალი 1970 წელი.“ სანდოობისათვის გაზეთში მოჰყავთ არაერთი მონაცემი, შრომის სამინისტროს დასკვნა, რომ უმუშევრობა იზრდება, სხვადასხვა ამერიკული გაზეთის შეფასება. „კომუნისტი“ 1971 წლის დამდეგსაც „აბედნიერებს“ მკითხველს და 1-2 იანვრის ნომრებში (№1 (15252); №2 (15253)) დასავლეთის ეკონომიკის დაცემას ატყობინებს, მაგალითად მოჰყავს ფრანგული გაზეთის „ვი ფრანსეზის“ („დასაქმებულთა ფინანსურ-ეკონომიკურ პრობლემებზე“) შეფასება, რომლის მიხედვითაც ინგლისი ინფლაციამ მოიცვა, აშშ-სა და დასავლეთ გერმანიაში იზრდება უმუშევართა რაოდენობა.



„კომუნისტი“, 17 ნოემბერი, 1970, № 269 (15214); „კომუნისტი“, 3 ივნისი, 1970, № 128 (15073)

სტატიაში განხილულია აშშ-ის მოქალაქეების სხვა ქვეყნებში სამუშაოდ გადინების პროცესი (23 000 – კანადა, 3 500 – ავსტრალია). მიგრაციის ძირითად მიზეზებად სახელდება – ინფლაცია, უმუშევრობა, დანაშაულის ზრდა და ძალადობა. 1971 წლის 13 თებერვლის (№37 (15288)) სტატიაში სათაურით „ქალაქები ცარიელდება“ საუბარია ქვეყნის ძირითადი ქალაქების თეთრკანიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე, რადგან მათ არ სურთ „ზანგების“ („კომუნისტის“ ტერმინოლოგიით) გვერდით ცხოვრება. კომუნისტს სხვა ქვეყნებიც არ რჩება ყურადღების მიღმა და საუბრობს დასავლეთ გერმანიაში გავრცელებულ საბანკო მაქინაციებზე, ინგლისში კი იმ პრობლემაზე, რომ „მშრომელთა საოჯახო ბიუჯეტის თითქმის ნახევარს ნთქავს ბინის ქირა და გადასახადები კომუნალურ მომსახურებაზე“ („კომუნისტი“, 1 ივლისი, 1972, №153 (15707)) .

იშვიათად, თუმცა გაზეთში მაინც იბეჭდებოდა ამა თუ იმ სფეროს ცნობილი ადამიანის მოსაზრებები დასავლეთთან მიმართებით. 1970 წლის 6 თებერვლის (№30 (14975)) სვეტში გადმოცემული იყო მწირი ინფორმაცია რეჟისორებთან, ელდარ შენგელაიასა და გიორგი დანელიასთან ერთად, მხატვარ ირაკლი თოიძის მოგზაურობის შესახებ აშშ-ის ქალაქებში. თოიძე დადებით კონტექსტში საუბრობდა აშშ-ზე, თუმცა მის მიერ გაზეთში გამოსაქვეყნებლად რედაქციაში მიტანილ ჩანახატებს შორის იყო: „ფეხსაცმლის მწმენდავი ბროდვეიზე“ და „თვალები ვიეტნამში დავტოვე“. სავარაუდოდ, გაზეთი თოიძის ნახატებს –

„ჭუგენჰაიმის გალერეაში“ და „უძველესი კათოლიკური ეკლესია სან-ფრანცისკოში“ არ დაუბეჭდავდა, რომ არა სხვა ორი, პროპაგანდისტული ჩანახატიც.



„კომუნისტი“, 6 თებერვალი, 1970, №30 (14975)

1970–1972 წლებში „კომუნისტი“ აქტიურად მიმოიხილავდა აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებას, აკრიტიკებდა ორპარტიულობას და ნაკლოვანად მიიჩნევდა საარჩევნო სისტემასაც. გაზეთი აქტიურად იყენებდა თანამედროვე თუ წინა ეპოქების მოღვაწეთა კრიტიკულ შეხედულებებს. 1971 წ. 13 ივნისს (№134 (15385)) გამოქვეყნდა წერილი „ბუტაფორიული დემოკრატია მოქმედებაში“, რომელშიც მოყვანილი იყო თეოდორ დრაიზერის სიტყვები: „ყველა ბუტაფორიულ პრივილეგიას შორის, რომელიც გააჩნია თანამედროვე ამერიკელ მშრომელს, ყველაზე ბუტაფორიულია მისი ხმის უფლება.“ გაზეთი იქვე განაგრძობდა: „მას შემდეგ ამერიკისა და კაპიტალისტური სამყაროს სხვა ქვეყნების ბურჟუაზიულ საარჩევნო სისტემაში არაფერი შეცვლილა.“

„კომუნისტი“ უოტერგეიტის სკანდალსა¹⁵ ეხება და ის ამერიკული დემოკრატიის ნაკლოვანების მაგალითად მოჰყავს. 1972 წ. 31 ოქტომბრის (№256 (15810)) სტატიაში, „საარჩევნო კამპანიის მეთოდები“, ეწერა, რომ პარტიები იმის ნაცვლად, ეფიქრათ ქვეყნის პრობლემებზე, დაკავებულნი იყვნენ ურთიერთბრალდებით, მიმართავდნენ ყალბ წერილებს, თვალთვალს, საბოტაჟს. დემოკრატები რესპუბლიკელებს კვლავ უხსენებდნენ უოტერგეიტის საქმეს.

1970–72 წლებში კომუნისტის ფურცლებზე ერთი-ერთი განხილვადი თემა იყო ანჯელა დევისი¹⁶. მისი პირველი მოხსენიება 1970 წლის (დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგ) 19 ნოემბერს (№271 (15216)) დაიწყო. აქ მხოლოდ ანჯელა დევისის დაკავება იყო აღწერილი, იმავე წლის 13 დეკემბრის ნომერში (№291 (15236)) კი ბრალდების დეტალებზეა საუბარი. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად სტატიას ერთოდა ილუსტრაცია გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“.

ანჯელა დევისის პატიმრობის 18-თვიანი პერიოდის განმავლობაში „კომუნისტის“ ფურცლებზე მას ორ ათეულზე მეტი სტატია მიეძღვნა – მათ შორის ქართველი პოეტის თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსი (1971 წ. 28 იანვარი, №23 (15274)) და ქ. ქუთაისის №37 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეების მოთხოვნით დაბეჭდილი წერილი.

დასახელებულ წლებში რამდენიმე სტატია დაეთმო ანტისაბჭოთა რადიოებს „თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლება“, რომლებიც სოციალისტურ ბანაკშიც ტრანსლირებდნენ. როგორც ჩანს, ეს თემა იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, რომ უცხოეთზე არსებული მასალის დიდი ნაწილისგან განსხვავებით, მას ანალიტიკურ სტატიებს უძღვნიდნენ. მაგ.: 1971 წ. 8 ივლისის ნომერში (№155 (15406)) გამოქვეყნებულ სტატიაში „ეთერის დივერსანტები. ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიზისი“ ავტორი გ. ვაჩნაძე (სოციოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი) დაწვრილებით აღწერდა რადიოების განთავსების ადგილებს, თანამშრომლების რაოდენობას (მათ შორის აღმოსავლეთ ევროპიდან ემიგრირებული ადამიანების), „ეთერში გადაცემა 100 000 სიტყვა უკანასკნელი ცნობები, კომენტარები და ა.შ.“ სტატიაში ასევე ნახსენები იყო დაფინანსების საკითხი: „1969 წელს ორივე რადიომ 34 მილიონი დოლარი მიიღო აშშ-სგან“. აქვე ნათქვამია, რომ ამ ფულს ცსს (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო/ CIA) მედიებს არაოფიციალურად აწვდის. 1972 წლის 24 თებერვლის ნომერში (№46 (15600)) საუბარი იყო მთავრობის მცდელობაზე, კონგრესს რადიოს დაფინანსება ოფიციალური გაეხადა, ხოლო 24 აგვისტოს ნომერში უკვე

¹⁵ უოტერგეიტის სკანდალი - აშშ-ის პოლიტიკური სკანდალი რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში, რომელიც ნიქსონის რამდენიმე უახლოესი მრჩეველის დაპატიმრებითა და პრეზიდენტის გადადგომით დასრულდა 1974 წლის 9 აგვისტოს.

¹⁶ ანჯელა დევისი (დაბ. 1944) - ამერიკელი აქტივისტი. 1969-1991 წლებში აშშ კომუნისტური პარტიის წევრი. 1970-1972 წლებში ტერორიზმის ბრალდებით თითქმის 2 წლით ჩასვეს ციხეში, თუმცა საბოლოოდ გაამართლეს და გაათავისუფლეს.

იმაზე საუბრობდნენ, რომ ნიქსონმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომლითაც რადიოები მიიღებდნენ 38.5 მილიონ დოლარს.

1970 წ. „კომუნისტი“ აქვეყნებდა ინფორმაციას ეკოლოგიის, უფრო ზუსტად კი იმ საკითხის შესახებ, თუ როგორ ქმნიდა აშშ ოკეანის დაბინძურების საფრთხეს. 1970 წ. 19 აგვისტოს ნომერში (№193 (15138)), რუბრიკაში „მსოფლიო აღშფოთებულია“, გამოეხმაურა ატლანტის ოკეანეში 418 კონტეინერში („ბეტონის კუბო“, როგორც ერთგან წერს „კომუნისტი“) მოთავსებული ნერვულ-პარალიზური გაზით სავსე 22 500 რაკეტის ჩაძირვას (ოპერაცია CHASE/ „დევნა“).¹⁷ ავტორი ამბობს, რომ რაკეტების აფეთქების შემდეგ დაზარალებოდა აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპირო და ლათინური ამერიკა.¹⁸

ამ ფაქტს მიეძღვნა დანიელი კარიკატურისტის კარიკატურა (თევზები აირწინალებით) და ქართველი ა. ჩავლეიშვილის ჩანახატი, რომელიც სრულდება სიტყვებით: „ზღვა არ უნდა მოინამლოს, არ უნდა გაჭუჭყიანდეს, ზღვა სუფთა უნდა იყოს, მაგრამ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მონა ამერიკელი იმპერიალისტები ასე როდი ფიქრობენ... საშიშ მომაკვდინებელ ტვირთს ძირავენ ზღვის ფსკერზე... ზღვა ბოხოქრობს, თეთრი რაშებივით მოქმინავენ აქოჩრილი ტალღები, რომლებიც გმინვით და ოხვრით ეხეთქებიან ნაპირს და ამ ჭიდილში, ამ ხმაურში ისმის ზღვის მოთქმა, თითქოს ატლანტის ოკეანის სევდა მოსწოლია მას, ჩვენს კოპწია, საყვარელ შავ ზღვას, თითქოს გულს ურევს ჩაძირული „ბეტონის კუბოების“ ბორგვა, შფოთავს და ოხრავს და მის დგაფუნში გარკვევით ისმის: მშვიდობა მშვიდობას!... - მშვიდობის მტრებს რისხვა!...”

¹⁷ იხილეთ მეტი ბმულზე: <https://www.cdc.gov/nceh/demil/history.htm>

¹⁸ “CDC - Chemical Weapons Elimination - History of U.S. Chemical Weapons Elimination,” December 12, 2018. <https://www.cdc.gov/nceh/demil/history.htm> .



„კომუნისტი“, 17 სექტემბერი, 1970, №217 (15162)

მოცემულ წლებში კულტურის სფეროდან ინფორმაცია ძალზე მწირი იყო და დასავლეთის მხოლოდ უარყოფითი კუთხით წარმოჩენას ემსახურებოდა. მაგალითად, 1971 წლის 6 იანვრის (№4 (15255)) ნომერში საუბარია საფრანგეთში კერძო პირისათვის მოპარული 17 ძვირფასი ტილოს შესახებ. 1970 წლის 7 ივლისის „კომუნისტი“ (№157 (15102)) ნათქვამი იყო, რომ ეკონომიკის განვითარების ტემპით სოციალისტური ქვეყნები წინ უსწრებენ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამის საილუსტრაციოდ მოჰყავდათ მხოლოდ ერთი მაგალითი – 1968 წელს სსრკ-ში გამოსცეს 75 723, აშშ-ში – 59 247, ინგლისში – 31 372 დასახელების წიგნი.

აღსანიშნია საბჭოთა პრესის მიდგომა – უარყოფით მოვლენაზე ყურადღების გამახვილება, ხოლო თუ ამას დადებითი გაგრძელება მოჰყვებოდა, მხოლოდ ირიბად ხსენება ან საერთოდ ყურადღების გარეშე დატოვება. მაგ.: 1972 წ. 6 აგვისტოს ნომერში (№183 (15737)) კომუნისტი წერდა: „მსახიობმა ჯეინ ფონდამ ინტერვიუ მისცა ჰანოის რადიოს, რომელშიც აშშ-ს მფრინავებს მოუწოდებდა, არ დაებრუნებოდნენ ვიეტნამში. ამასთან დაკავშირებით კონგრესმენმა ფლეტჩერ ტომპსონმა მოითხოვა, რომ ფონდას სახელმწიფო ლალატში დასდონ ბრალი.“ ამ საქმეს გაგრძელება არ მოჰყოლია და, როგორც ცნობილია, აშშ-ის კონგრესმა უარი

განაცხადა¹⁹ ჯეინ ფონდას საკანონმდებლო ორგანოში დაბარებაზე უსაფუძვლოების გამო, თუმცა „კომუნისტის“ მომდევნო ნომერში ამის შესახებ აღარ დაუნერიათ.²⁰

1970–1972 წწ. „კომუნისტი“ მიმოიხილავდა ამერიკულ განათლების სისტემას, სკოლებში გამეფებულ რასიზმს, ახალგაზრდობის ცხოვრების თავისებურ ნებს, დანაშაულების მატებას, ნარკომანიას. 1970 წლის 28 ივნისის ნომერში (№150 (15095)) სათაურით „ამერიკის ტრაგედია“ საუბარი იყო ახალგაზრდობაში მზარდ ძალადობაზე, რის უმთავრეს მიზეზადაც კინო და ტელევიზია იყო მიჩნეული. მაგალითად მოჰყავდათ 6-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების სტატისტიკა, რომლის თანახმადაც ყოველი ბავშვი ეკრანზე, საშუალოდ, 13 ათასჯერ ნახულობდა მკვლელობას, რაც მათ დანაშაულის გამეორების რისკის წინაშე აყენებდა.

როგორც „კომუნისტი“ ხშირად წერდა, „დალხენილი ცხოვრება“ არც სტუდენტებს ჰქონდათ, განსაკუთრებით ის სტუდენტები ისჯებოდნენ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ანტისაომარ გამოსვლებში. პოლიცია მათ ფიზიკურად უსწორდებოდა, რაც ზოგჯერ სიკვდილითაც სრულდებოდა. 1971 წლის 5 იანვარს „კომუნისტი“ (№3 (15254)) წერდა, რომ 30 სტუდენტი ქალი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელიდან იმიტომ გამოაძევეს, რომ ისინი ანტისაომარ პროტესტში მონაწილეობდნენ.

1972 წლის 22 იანვრის ნომერში (№18 (15572)) გამოქვეყნდა სტატია აშშ-ის სამხედრო ძალებში ახალი ტიპის იარაღის დანერგვის შესახებ სათაურით „დელფინი-კამიკადზე [ტექსტში ასეა - რედ.] ანუ პენტაგონელი მწვრთნელები“. მასში ნათქვამია: „უკვე სამი ათეული წელია ამერიკის სამხედრო ხროვა ცდილობს ბევრი ცხოველის ინსტინქტები და ჩვევები მილიტარისტული მიზნებით გამოიყენოს“. სტატიაში საუბარია სხვადასხვა ცხოველისა თუ ფრინველის – სელაპი, დელფინი, თოლია, ლამურა, სკუნსი – სამხედრო მიზნით გაწვრთნაზე. მაგ.: ფეთქებადი ნივთიერებით დატვირთულ დელფინს უნდა ამოეცნო მონინალმდეგის წყალქვეშა ნავი და აეფეთქებინა. იმისათვის, რომ დელფინს გაერჩია საკუთარი და მონინალმდეგის მოწყობილობა, ამერიკულ წყალქვეშა ნავებს კორპუსზე ექნებოდათ ლითონის ზოლები. რაც შეეხება პროექტს „ლამურა“ – ფუგასური ბომბების ნაცვლად ამერიკელები ჩამოყრიდნენ ათასობით ლამურას, რომლებსაც ექნებოდათ მინიატიურული ცეცხლგამჩენი ბომბები. თვითმფრინავიდან გამოშვებული ლამურები, დღის შუეს დაემალეოდნენ და შენობების სხვენში შეფრინდებოდნენ, შემდეგ კი მათ ცეცხლს გაუჩნდნენ. სკუნსები კი ვიეტნამელთა გვირაბებში უნდა გაეშვათ, სუნიტ შენუხებული

¹⁹ იხილეთ მეტი ბმულზე:

<https://www.nytimes.com/1972/08/11/archives/house-committee-refuses-to-subpoena-jane-fonda.html>

²⁰ “House Committee Refuses To Subpoena Jane Fonda - The New York Times.” Accessed December 13, 2022.

<https://www.nytimes.com/1972/08/11/archives/house-committee-refuses-to-subpoena-jane-fonda.html> .

ვიეტნამელები გვირაბებიდან გამოვიდოდნენ და ამერიკელი სამხედროების ხელში აღმოჩნდებოდნენ.



„კომუნისტი“, 22 იანვარი, 1972, № 18 (15572)

1973 წლის „კომუნისტი“ განხილული იყო მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება. მთავარი თემა შეეხებოდა ამერიკა-ვიეტნამის ომის დეტალებს, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებში. გამოქვეყნებულ სტატიათა შორის გვხვდება ისეთი თემები, როგორებიცაა: რასიზმი, სიონიზმი, ბიოუსაფრთხოება, ეპიდემიები, ნატოს სამხედრო წვრთნებისა და ბაზების შექმნით გამოწვეული საფრთხეები, სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული თუ ეკონომიკური პრობლემები.

1973 წლის 7 იანვრის ნომერში (№6 (15864)), სტატიაში „რადიოჯაშუშობის ცენტრი“ საუბარი იყო ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ნაბიჯებზე, რომელიც შეფასებულია, როგორც სოციალისტური ქვეყნებისთვის თვალყურის დევნება. სტატიაში ვკითხულობთ: „ბრიტანეთის კუნძულებზე პენტაგონი ქმნის რადიოჯაშუშობის ახალ ცენტრს. ეს დაწესებულება, რომელიც ბროუდში (ინგლისის დასავლეთ სანაპირო) გაიხსნა, ოფიციალურად განკუთვნილია „ოკეანოგრაფიული კვლევისათვის“. მაგრამ, ლონდონის გაზეთ „დეილი ექსპრესის“ მონაცემებით, „ოკეანოგრაფიული კვლევა“ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის დაზვერვის საქმიანობის ნილაბია. სინამდვილეში ცენტრის ამოცანა იქნება, თვალყური ადევნოს სოციალისტური ქვეყნების ცხოვრებას და შეაგროვოს ინფორმაცია მათ შესახებ. შემთხვევითი როდია, რომ უკვე მომავალ კვირაში ბროუდში უნდა ჩამოვიდეს ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების დაახლოებით 250 სპეციალისტი“.

„კომუნისტის“ 1973 წლის 23 იანვრის ნომერში (№19 (15877)), სტატიაში „ხელს აფარებენ“, პენტაგონი მხილებულია დანაშაულის დაფარვაში: „პენტაგონი კვლავ ხელს აფარებს

პირსისხლიან კაცისმკვლელებს, რომლებმაც 1968 წელს ამერიკელ დამსჯელთა რაზმში ყოფნისას დახოცეს სამხრეთ ვიეტნამის სონგმის თემის მშვიდობიანი მცხოვრებნი”.

1973 წლის 7 მარტის ნომერში (№56 (15914)), სტატიაში „ვიეტნამი მშვიდობისათვის, ტელ-ავივი და ვაშინგტონის „შუამავლობა“, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტთან მიმართებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს სტატიის ავტორი გვიხატავს აგრესორის წამხალისებლის როლში: „ამერიკის შეერთებული შტატები ახალისებს აგრესორს და იმედი აქვს, რომ თავისი სიონისტი მსახურების საშუალებით დაამხობს პროგრესულ არაბულ რეჟიმებს და ძირს გამოუთხრის არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას... დროა, ბოლო მოეღოს ამ საშიშ თამაშს. დროა, ბოლოს და ბოლოს გამოირკვეს: ვაშინგტონის ახლო აღმოსავლური პოლიტიკა კვლავაც წაახალისებს ისრაელის აგრესიულ მისწრაფებებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობის საქმეს, თუ ამერიკის შეერთებული შტატები შეასრულებს უშიშროების საბჭოს ნოემბრის რეზოლუციას, რომელსაც ერთ დროს ხმა მისცა ამერიკის წარმომადგენელმა“.



გაზეთი „კომუნისტი“, 24 თებერვალი, 1973, №47 (15905)

1973 წლის „კომუნისტის“ 5 ივნისის ნომერში (№130 (15988)) ვხვდებით სტატიას სათაურით „კეთილი იყოს“. სტატიაში განხილული იყო, როგორ მიესალმება აშშ-ის კომუნისტური პარტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს აშშ-ში: „ამერიკელ ხალხს სურს მშვიდობა, სსრ კავშირთან მეგობრობა და

თანამშრომლობა და ეს სჭირდება... თქვენი ვიზიტი ისტორიული ნიშანსვეტი იქნება ჩვენი ქვეყნების კეთილი ურთიერთობების განვითარების გზაზე, რაც შეესაბამება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა პროგრესის, მშვიდობისა და კეთილდღეობის ინტერესებს”.

1973 წლის მეორე ნახევარში „კომუნისტში“ უკვე ვხვდებით ჩილეს პოლიტიკური ვითარების განხილვასა და სამხედრო გადატრიალების შედეგებისა თუ შემდგომ განვითარებული პროცესების ანალიზს, ასევე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის სიმცირით გამოწვეული „ენერგეტიკული კრიზისის“ მიმოხილვას.



გაზეთი „კომუნისტი“, 23 ნოემბერი, 1973, №273 (16131)

1974 წლის „კომუნისტი“ შენარჩუნებულია წინა წლების ტენდენცია – ძირითადად, მიმოხილულია მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, რასიზმის გამოვლინებები, ამავედროულად, ნეოფაშიზმთან ბრძოლის მიმდინარეობა, ჩილეს პოლიტიკური ვითარება, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები, კრიზისული მდგომარეობა სხვადასხვა სფეროსთან მიმართებით საბერძნეთში, ესპანეთში, ინგლისში, გერმანიაში და ა.შ. განსაკუთრებით კი ყურადღება გამახვილებულია ამერიკის შეერთებულ შტატებზე. 1974 წლის 5 იანვრის (№4 (16166)) სტატიაში „მძიმე ახალი წელი“ ვკითხულობთ: „ამერიკელები ახალ, 1974 წელს შეხვდნენ იმის მოლოდინით, რომ კიდევ უფრო გამწვავდება სოციალურ-ეკონომიური პრობლემები, მოიმატებს სიღვირე და უმუშევრობა. ამას მოწმობენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც გელაპის ინსტიტუტმა მოაწყო... როგორც აღნიშნულია მოხსენებაში, არასოდეს არ ყოფილა, რომ ასე ბევრ ამერიკელს ესოდენ პესიმისტური შეხედულებანი გამოეთქვას ახალი წლის პერსპექტივებზე“.



გაზეთი „კომუნისტი“, 1 იანვარი, 1974, №1 (16163)

1974 წლის 11 იანვრის „კომუნისტში“ (№9 (16171)), სტატიაში „კაპიტალის ქვეყნებში: ეკონომიკის სერიოზული კრიზისი“, საუბარი იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში ნავთობის მონოპოლიის უარყოფით როლზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან მიმართებით. იმავე ნარატივის გაგრძელებას ვხვდებით 1974 წლის 24 იანვრის ნომერშიც (№20 (16182)), სტატიაში „კრიზისი არ ცხრება“: „ენერგეტიკული კრიზისი, რომელიც კაპიტალისტური მონოპოლიებისა და უწინარეს ყოვლისა ნავთობის მონოპოლიების პოლიტიკის შედეგად მოედო დასავლეთ ევროპის, ამერიკის უმეტეს ქვეყნებსა და იაპონიას, საგრძნობ ზარალს აყენებს ამ ქვეყნების ეკონომიკას. საერთაშორისო ნავთობის მონოპოლიები სარგებლობენ სათბობის ხელოვნურად გამოწვეული ნაკლებობით და უზარმაზარ ზემოქმედებას იღებენ. ბენზინის, სხვა სახეობის სათბობის ფასების მომატებამ სურსათ-სანოვარის, სხვადასხვა მომსახურების მკვეთრი გაძვირება გამოიწვია, ეს კი ზარალს აყენებს უწინარეს ყოვლისა კაპიტალის ქვეყნების მშრომელებს“.



გაზეთი „კომუნისტი“, 6 იანვარი, 1974, №5 (16167)

1974 წლის 30 იანვრის ნომერში (№25 (16187)) გამოქვეყნებულ სტატიაში „დისკრიმინაცია გრძელდება“ საუბარი შეეხებოდა ქალთა მიმართ უთანასწორო და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას: „ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე დაკანონებულია უთანასწორობა და დისკრიმინაციული ღონისძიებანი ქალების მიმართ. ეს თავს იჩენს ამერიკის სინამდვილის მრავალ სფეროში – ქალის შრომის ანაზღაურებისას წარმოებაში, განათლების მიღების დროს, აგრეთვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის მონაწილეობის მხრივ“.

1974 წლის „კომუნისტში“ მნიშვნელოვანი განსახილველი თემა იყო ჩილეში სამხედრო გადატრიალების შედეგად შექმნილი პოლიტიკური ვითარება. სხვადასხვა ნომერში არაერთი სტატია მიეძღვნა სამხედრო ხუნტის მიერ მოწყობილ ტერორსა და რეპრესიებს. 1974 წლის 5 მარტის ნომერში (№54 (16216)), სტატიაში „ამხილებენ დანაშაულობებს“ განხილული იყო

ჩილეში სამხედრო ხუნტის დანაშაულთა გამომძიებელი საერთაშორისო კომისიის განსახილველ საკითხთა დეტალები: „ძირგამომთხრელი საქმიანობა ჩილეს ხალხისა და მისი კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით შეისწავლიან უცხო სახელმწიფოებისა და მონოპოლიების როლს ჩილეში სამხედრო გადატრიალების მომზადებასა და განხორციელებაში. გამოიძიებენ მკვლელობებს, მასობრივ დაპატიმრებებს, წამებას, აგრეთვე დევნას პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მოტივებით“...



გაზეთი „კომუნისტი“, 27 აპრილი, 1974, №97 (16868)

1974 წლის „კომუნისტში“ ერთ-ერთ განსახილველი თემა იყო ისრაელის კონფლიქტები. ისრაელს არაერთ სტატიაში გვისახავენ აგრესორის ამბლუაში, ამერიკის შეერთებულ შტატებს კი აგრესორის ხელშემწყობ ქვეყნად მოიხსენიებენ. 1974 წლის 9 მაისის ნომერში (№107 (16269)), სტატიაში „ტელ-ავივი აძლიერებს რეპრესიებს“, ისრაელის მმართველი წრეები არაბულ ტერიტორიებზე ტერორისა და რეპრესიების გამტარებლად არიან მოხსენიებულნი: „ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მასობრივად აპატიმრებდნენ კომუნისტებს, პროფკავშირულ და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც მხარს უჭერენ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებას ახლო აღმოსავლეთში“.

1974 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან გაზეთ „კომუნისტში“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კვიპროსის კონფლიქტის განხილვასა და ანალიზს, ამავედროულად, კონფლიქტის

აღმოფხვრის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს - თურქეთს, ინგლისსა და საბერძნეთს შორის გამართული მოლაპარაკებების მიმდინარეობას.

1975 წლის 14 იანვრის ნომერში (№11 (16478)) გამოქვეყნებული იყო სტატია „წყნარი ამერიკელები“ დასავლეთ ევროპაში“, რომელშიც CIA (Central Intelligence Agency) თავისი ქმედებების გათვალისწინებით, ფაქტობრივად, დადანაშაულებული იყო დასავლეთ ევროპის საქმეებში ჩარევაში: „საკდესის კორესპონდენტი ი. ტიტოვი გვატყობინებს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბევრი აგენტი უკანასკნელ თვეებში გაიგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და, კერძოდ, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში“.

1975 წლის 25 იანვრის ნომერში (№21 (16488)) საუბარი შეეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სხვა ქვეყნებში სამხედრო კონტინგენტის გასაფართოებლად. სტატიაში „საშიში გეგმები“ ვკითხულობთ: „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას ომანისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებთან, რათა მიიღოს არაბეთის ზღვაში ომანის მასირის კუნძულზე ინგლისის სამხედრო-საჰაერო ბაზის გამოყენების ნებართვა. ეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა. მან თქვა, რომ ინდოეთის ოკეანესა და სპარსეთის ყურის მეზობელ ზონაში, „სამხედრო ყოფნის გაფართოების“ პოლიტიკის შესაბამისად, შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად ზრდის ამ რაიონში მოქმედი თავისი სამხედრო ხომალდებისა და თვითმფრინავების რიცხვს“.

1975 წლის „კომუნისტის“ 22 თებერვლის ნომერში (№45 (16512)) გამოქვეყნებულ სტატიაში „ნატოს სურს კვიპროსის დესტაბილიზაცია“, ნატო დადანაშაულებული იყო კვიპროსის კონფლიქტის პირადი ინტერესებისთვის გამოყენებაში: „რით აიხსნება ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ასეთი ჭეშმარიტად ავბედითი საქმიანობა კვიპროსის მიმართ? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა, მაგალითად, ბურჟუაზიული ინგლისური გაზეთის „სანდი ტელეგრაფის“ ცნობა, რომელიც ამ დღეებში წერდა, რომ ნატოს შტატებში იხილავენ ჩრდილოეთ კვიპროსში პენტაგონის სამხედრო ბაზის შექმნის საკითხს. მოკლედ რომ ვთქვათ, ნატოს ხელს აძლევს კვიპროსის გათიშვის ყოველგვარი ვარიანტი, ოღონდ კი მიიღოს სამხედრო ბაზა ამ კუნძულზე“.



გაზეთი „კომუნისტი“, 1 ოქტომბერი, 1975, №230 (16697)

1975 წლის „კომუნისტში“, ნარატიული თუ სხვადასხვა მხატვრული მეთოდით, აქტიურად ტირაჟირდებოდა ნატოს სამხედრო მანევრებით გამოწვეული საფრთხეები.



გაზეთი „კომუნისტი“, 1 მაისი, 1975, №102 (16569)



გაზეთი „კომუნისტი“, 26 აგვისტო, 1975, №199 (16666)

1976-1980 წლები:

ამ წლებში, ისევე როგორც წინა ხუთწლიან პერიოდში, დასავლეთის ხატსახე პრაქტიკულად არ შეცვლილა და საუბარი გრძელდებოდა აშშ-ის დომინანტურ როლზე და სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევაზე, ნატოსა და მილიტარიზმზე, ისრაელზე - როგორც აგრესორ სახელმწიფოზე; შავკანიანების (გამოყენებულია „ზანგები“) ჩაგვრასა და სხვა სოციალურ საკითხებზე.

გაზეთში ვრცელდებოდა ინფორმაცია მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონსა და აქტუალურ ქვეყანაზე და მოიცავდა: აშშ-ს, ახლო აღმოსავლეთს, ევროპას, სამხრეთ ამერიკას, აზიის ქვეყნებს (განსაკუთრებით, იაპონიასა და ჩინეთს), აფრიკას. ამ წლებშიც განსაკუთრებით ფოკუსირებულია ამერიკის როლი.

სწორედ ამიტომ, 1970-იანი წლების „კომუნისტში“ ძირითად „მიგნებებს“ ეხვდებით აშშ-თან მიმართებით – გაზეთში არაერთი ანტიდასავლური, პროპაგანდისტული ნარატივით გაჯერებული სტატიაა, რომელიც, ფაქტობრივად, ყველა აქტუალურ, მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით ცდილობს, გამოკვეთოს აშშ-ის როლი და მისი სახელმწიფოებრიობის

განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტები განიხილოს უარყოფით კონტექსტში, შემდგომში კი მკითხველს მიაწოდოს ერთგვარი ანალიზი საკუთარი ინტერპრეტაციით.

გაზეთი განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ-ის რასიზმში დადანაშაულების ტენდენციით. არაერთი სტატია ეძღვნება რასისტულ ფაქტებთან დაკავშირებულ მოვლენათა განხილვას, რომელიც პირდაპირი შეფასებითი ელემენტებით დაკავშირებულია აშშ-ის სასამართლო სისტემის უზურპაციულ კონცეფციურ დამოკიდებულებასთან ადამიანის უფლებებთან მიმართებით.

1977 წლის 9 იანვრის (№7 (17085)) ერთ-ერთ ბლოკში - “ესეც შენი თავისუფალი სამყარო: იქ, სადაც კაპიტალი ბატონობს” - გამოქვეყნებული იყო სტატია „რასიზმის მსხვერპლნი“, რომელშიც განხილული იყო უმაღლეს სასწავლებლებში რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის დროს დაპატიმრებული ათი ახალგაზრდა უილმინგტონელი (ჩრდილოეთ კაროლინას შტატი) ფერადკანიანის ბედი, რომელთა პატიმრობაც სტატიის ავტორს უკანონო ქმედებად ჰქონდა შეფასებული: „ერთ-ერთი კრების შემდეგ ზანგ აქტივისტთა ჯგუფს თავს დაესხნენ გააფთვრებული რასისტები... საქმეში პოლიცია ჩაერია. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ რასისტები დაეკავებინათ, ნესრიგის დამცველებმა 10 ზანგი დააპატიმრეს, რომლებსაც შეთითხნილი ბრალდებით საბოლოო ანგარიშით 282 წლის პატიმრობა მიუსაჯეს“. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ „უილმინგტონელი ათეულის“ დასაცავად გამართული მრავალრიცხოვანი მიტინგის მონაწილენი მოითხოვდნენ უკანონო განაჩენის გაუქმებას. საილუსტრაციოდ კი გამოქვეყნებული იყო ფოტო, რომელზეც პასტორ ბენჯამინ ჩეივესს (ერთ-ერთი აქტივისტი) ხელში ეჭირა ვინმე ა. ბილის განცხადება, რომელშიც იგი აღიარებდა, რომ ხელისუფლების მოქრთამვით მან ცილი დასწამა ფერადკანიან აქტივისტებს. 1977 წლის 22 მაისის ნომერში (№119 (17197)) გამოქვეყნებული იყო „უილმინგტონის ათეულის“ სასამართლო სხდომის გადანყვეტილება, რომლის მიხედვითაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადვოკატების მოთხოვნა ახალი პროცესის დანიშნასთან დაკავშირებით. სტატიაში ვკითხულობთ: „სამარცხვინო გადანყვეტილება მიღებულია მიუხედავად იმისა, რომ „ბრალდების“ სამივე მთავარმა მონემ, რომელთა „ჩვენების“ საფუძველზე „ათეული დამნაშავედ“ ცნეს, ქალაქ ბერგოს სასამართლოზე განაცხადა, რომ მათ ყალბი ჩვენება მისცეს ხელისუფალთა ზემოქმედებით“.

დასავლეთის ქვეყნების, ძირითადად, აშშ-ს წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა უმუშევრობის კუთხით საინტერესო ნარატივებითაა აღწერილი: მაგალითად, ის, რომ ჩრდილოეთის ინდუსტრიული შტატები იცლება და მოსახლეობა ნაკლებად განვითარებულ სამხრეთში მიგრირებს, ის, რომ ლონდონში 1975 წლის მანძილზე 2,263 გაფიცვა გაიმართა. იმავე ბრიტანეთის შემთხვევაში, „კომუნისტი“ 1976 წლის 3 აგვისტოს (№180 (16951)) წერდა, რომ ლონდონის რამდენიმე ათასი მონაფიდან მხოლოდ $\frac{1}{3}$ შეძლებს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას, ხოლო დანარჩენები მილიონახევრიან უმუშევართა არმიას

შეუერთდებიან. 1979 წლის სტატიის – „კომპიუტერის მსხვერპლი“ – თანახმად, ამერიკელი გოგონა დაითხოვეს ფოსტიდან იმიტომ, რომ იქ საფოსტო კომპიუტერები დააყენეს და ადამიანები აღარ სჭირდებოდათ. ეს უკანასკნელი ნარატივი ტექნოლოგიური განვითარების დელეგიტიმიზაციას ეფუძნება და მისი შინაარსის პოზიტიური ტონალობის ნეგატიურით ჩანაცვლებას ცდილობს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაზეთი „კომუნისტი“ არაერთ ნომერში გადმოსცემდა აშშ-ის ეკონომიკურ მდგომარეობას და მისი კრიზისული პოზიციონირების ლაიტმოტივს ავითარებდა კონკრეტული ეკონომიკური საკითხების განხილვისას, მათ შორის 1977 წლის 6 თებერვლის ნომერში (№31 (17109)) გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „კანონმდებლები აკრიტიკებენ“, რომელშიც საუბარი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შემუშავებული ეკონომიკის სტიმულირების პროგრამაზე: „ამერიკის კონგრესი მნიშვნელოვან ოპოზიციას წააწყდა. ეს პროგრამა უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ყველაზე ღრმა და ხანგრძლივი კრიზისიდან ამერიკული ეკონომიკის გამოყვანის ცდას წარმოადგენს“.

„კომუნისტი“ აქტიურად აპელირებდა აშშ-ის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე, გამეფებულ უმუშევრობასა და ცხოვრების გაუარესებულ პირობებზე. მაგალითად, 1977 წლის 12 იანვრის (№9 (17087)) საინფორმაციო სვეტში „მოსახლეობა მცირდება“, ვხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობის განხილვას, რომლის მიხედვითაც, 1970 წელთან შედარებით, ვაშინგტონის მცხოვრებთა რიცხვი 7.3 პროცენტით შემცირდა და 702 ათასი შეადგინა. აღნიშნული ინფორმაციის წყაროდ, „კომუნისტი“ ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიუროს ასახელებს და იქვე აღნიშნავს: „ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზებია უმუშევრობა, საქალაქო ტრანსპორტის პრაქტიკული უქონლობა, დამნაშავეობის მაღალი დონე, ცხოვრების პირობების განუწყვეტელი გაუარესება.“

ამრიგად, დღევანდელი მსგავსად, დასავლეთის საბჭოური პორტრეტი არასტაბილურობის, ქაოსისა და არაჰუმანურობის ხატსახედ არის წარმოდგენილი.

მისი საშუალებით უკავშირდებოდა სსრკ კომპარტიის გენერალურ მდივანს, იური ანდროპოვსა.²²

გარდა ამერიკელი პოლიტიკოსებისა, ამ წლის გაზეთებში სიმპათიებით მოიხსენიებდნენ მემარცხენე პოლიტიკური სისტემების წარმომადგენელ პოლიტიკოსებს და მათ მიერ გატარებულ კურსს საკუთარ ქვეყნებში. რა თქმა უნდა, განდიდებული იყო კომუნისტური პარტიების როლიც. ყურადღებას, ძირითადად, სხვადასხვა ქვეყნის მემარცხენე ავტორიტარი მმართველები იმსახურებდნენ, თუმცა, მაგალითად, გაზეთი „სწყალობდა“ არგენტინის დიქტატორ ხორხე რაფაელ ვიდელას, რომელიც მემარჯვენე კურსისა და ანტიკომუნიზმის მიუხედავად, კარგ ურთიერთობაში იყო საბჭოთა კავშირთან.

ზოგიერთი ქვეყნის დადებით კონტექსტში მოხსენიებისთვის ერთმანეთის მიყოლებით ვხვდებით ურთიერთგამომრიცხავ სტატიებს. მაგალითად, 1980 წლის 5 აპრილის „კომუნისტში“ (№81 (10780)) ვ. სოლომინის ავტორობით შედგენილ სვეტში განთავსებული იყო ორი სტატია „სან-პაულუელი აიბოლიტები“, სადაც საუბარია, თუ როგორ მკურნალობენ ერთ-ერთ საავადმყოფოში ქალაქის ზოოპარკიდან მოყვანილ ავაზებს, ვეფხვებს, ლომებს, თუ როგორ მაღალ დონეზე შეუწებეს კუს ნიანგის მიერ დაზიანებული ჯავშანი და ა.შ. იმავე სვეტის მეორე სტატია „ჩეხავენ ამაზონის ჯუნგლს“ კი ეხება ამერიკელი ბიზნესკორპორაციების მიერ „მსოფლიოს ფილტვების“, ამაზონის ჯუნგლების უსისტემო გაჩეხასა და ექსპლუატაციას.

ამრიგად, დასავლეთის წარმოდგენა, თუკი ის დადებით კონტექსტში ხდებოდა, კვლავ საბჭოური პოლიტიკის სამართლიანობის დადასტურებას ემსახურებოდა.

„კომუნისტის“ 1976 წლის 14 იანვრის (№11 (16782)) საინფორმაციო სვეტში „ეხმარებიან ინტერვენტებს“ საუბარი იყო ანგოლაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაზე. ნათქვამია, რომ „პატრიოტულმა ძალებმა ხელთ იგდეს იარაღის 8 არსენალი... ეს იარაღი მიღებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დასავლეთის სხვა ქვეყნებიდან. ზოგიერთ ყუთზე დატანილი იყო დამლა „ნატო“. ანალოგიური ინფორმაციაა ამავე წლის 4 თებერვლის გაზეთში (№29 (16800)) - „ნატო ემზადება“, სადაც ანგოლის სამოქალაქო ომში ნატოს ჩართულობაზეა საუბარი.

დასავლური სამყაროს, როგორც განხეთქილების შემომტანისა და კონფლიქტის წამახალისებლის წარმოჩენა დამახასიათებელი იყო 1970-იანი წლების საბჭოთა პრესისთვის.

²² Forbes. “Ted Kennedy’s Soviet Gambit.” Accessed December 13, 2022.

<https://www.forbes.com/2009/08/27/ted-kennedy-soviet-union-ronald-reagan-opinions-columnists-peter-robinson.html> .

საბჭოთა პროპაგანდას ყურადღების მიღმა არ რჩებოდა საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული ანტისაბჭოელების მოქმედებებიც. „კომუნისტის“ 1976 წლის 24 მარტის (№69 (16840)) ინფორმაცია - „მანანალა ანტისაბჭოელი“ - ალექსანდრ სოლჟენიცინს და მის მადრიდის ცენტრალურ ტელევიზიაში გადაცემულ ინტერვიუს ეხებოდა. გაზეთის ინფორმაციით, მან გაამართლა ბასკების სიკვდილით დასჯა და დიქტატურა. აქვე „კომუნისტი“ რიტორიკულ კითხვას სვამდა სოლჟენიცინის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, რისი საშუალებითაც მისი სამომავლო განცხადებების დელეგატიმიზაციას ცდილობდა.

1950-იანი წლიდან, ხრუშჩოვის მიერ გატარებული დათბობის პოლიტიკის შემდეგ, სტალინის ეპოქის რეპრესიების მასშტაბი შემცირდა და ფორმები შეიცვალა, თუმცა ნელ-ნელა საბჭოთა კავშირში დამკვიდრდა რეპრესიის ერთ-ერთი მძიმე ფორმა - იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. პროპაგანდა ამ საკითხს ირონიულ ფორმით აღწერდა. „კომუნისტის“ 1976, 1 ივნისის (№127 (16898)) სტატია - „აი, რას წერს იტალიური ჟურნალი“, ეხებოდა საბჭოთა კავშირში იძულებით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობამისჯილ პირებს, ალექსანდრ ესენინ-ვოლპინს (საბჭოთა კავშირის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გაატარა 14 წელი), ტიტოვს და ტარსისს, რომლებიც უცხოეთში ემიგრაციის შემდეგ კვლავ მოხვდნენ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. აღნიშნული პიროვნებები ემიგრაციის შემდეგ ხმას იმაღლებდნენ და საბჭოთა კავშირი ყველანაირად ცდილობდა მათ დისკრედიტირებას და ფსიქიკურად ავადმყოფებად წარმოჩენას. მაგალითად, ვალერი იაკოვლევჩი ტარსისის შესახებ ვლადიმირ ბუკოვსკის არქივში²³ დაცულია დოკუმენტი, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ КГБ აგრძელებს ღონისძიებებს საზღვარგარეთ, ტარსისის, როგორც ფსიქიკურად დაავადებული პირის კომპრომეტირებაზე.²⁴

გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნული პირების ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბიოგრაფიებში არსად გვხვდება ფაქტები, რომ ისინი საზღვარგარეთაც გადიოდნენ მკურნალობის კურსს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

ისევე როგორც სხვა წლებში, ანტიდასავლური პროპაგანდის ეგიდით განხილული იყო შეიარაღება, ნატო და სხვა მსგავსი საკითხები. „კომუნისტის“ 1977 წლის 12 იანვრის

²³ დისიდენტმა ვლადიმირ ბუკოვსკიმ (1942-2019), რომელიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, მცირე ხნით დაუშვეს ყოფილ საიდუმლო არქივებში, იაპონურ პორტატიულ კომპიუტერ-სკანერზე გადაიღო და ფარულად გამოიტანა სრულიად საიდუმლო დოკუმენტები. დღესდღეობით, დასავლური სამეცნიერო წრეების აღიარებით, ამ დოკუმენტებს ორიგინალის ძალა გააჩნია.

²⁴ საარქივო დოკუმენტი: О мерах в связи с антисоветскими материалами в английской печати (Тарсиса): Решение Президиума ЦК КПСС № 238/132 от 8 апреля 1966 по записке Николая Степановича Захарова и Романа Андреевича Руденко от 14 февраля 1966 и записке Андрея Андреевича Громыко от 5 апреля 1966

ნომერში (№9 (17087)), სტატიაში „გენერლები განგაშს ტეხენ“ ვხვდებით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, სამხედრო სისტემის გაუმჯობესების მიზნით, 1977 წელს ბიუჯეტთან მიმართებით გატარებულ ცვლილებათა ანალიზს, რომლის მიხედვითაც, სამხედრო ბიუჯეტმა 113 მილიარდი შეადგინა და მოსალოდნელი იყო, რომ მომდევნო წლისთვის, სამხედრო მაღალჩინოსანთა ჩართულობით, ეს დაფინანსება 125-130 მილიარდ დოლარამდე გაზრდილიყო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სტატიის ავტორი წერდა: „და ყოველივე ამის ფონზე მართლაც ფარისევლურად გამოიყურება ამერიკის შეერთებულ შტატებში ატეხილი ხმაურიანი კამპანია საბჭოთა კავშირის მხრივ მითური „სამხედრო საფრთხის“ გამო“.

სტატიაში ასევე განხილული იყო ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ამერიკელი გენერლის ა. ჰეიგის მიერ ჟურნალ „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტისა“ და ფრანს პრესის სააგენტოსათვის მიცემული ინტერვიუ, რომელშიც, „კომუნისტის“ გადმოცემით, ჰეიგმა „უნიადგოდ დააბრალა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნებს, თითქოს ზრდიდნენ სამხედრო პოტენციალს, და მან თქვა, რომ „ეს მათ შესაძლებლობას მისცემს მოკლე ვადაში შეტევის ოპერაციებზე გადმოვიდნენ“. **ნატო დაიშლება, აშინებს იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს, და მის მოკავშირეებს ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში, „თუ ჩვენ პასუხი არ გავეცით დასავლეთ ევროპაში სსრ კავშირის სამხედრო ძლიერების ზრდას“.**

აღნიშნულ სტატიაში, ამავდროულად, ხაზგასმული იყო ფრანგული პრესის სააგენტოს ტენდენციურობის საკითხი: „ის, რომ გენერალი ჰეიგი ცდილობს დააშინოს ნატოს ქვეყნები და „საბჭოთა მუქარით“ აფრთხობს, სულაც არ არის გასაკვირი. რა ქნას, ნატოელი გენერალია. გასაკვირი და გასაოცარი ის არის, რომ ჰეიგის გამონათქვამების პოპულარიზატორის როლში საფრანგეთის ფრანს პრესის სააგენტო მოგვევლინა. მან არა მარტო ჩამოართვა ჰეიგს ინტერვიუ პენტაგონისათვის ამ საყვარელ თემაზე, არამედ დაურიგა კიდეც იგი თავის ხელმომწერთ გრიფით „მასალა ჩვენს რუბრიკაში დასავლეთ ევროპისადმი საბჭოთა საფრთხის შესახებ“...

საბჭოთა პრესის საშუალებით, აქტიურად ხორციელდებოდა აშშ-ის მიერ იარაღის ახალ სახეობათა შექმნის საშიშროების პროპაგანდა, რათა საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა ეს საბჭოთა კავშირისთვის. 1977 წლის 6 აპრილის ნომერში (№80 (17158)), სტატიაში „არღვევენ ვალდებულებას“, საუბარია, რომ „როგორც გაზეთი „ლოს ანჯელეს ტაიმსი“ იუწყება, პენტაგონმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გააცნო „მტრის თანამგზავრების“ მოსპობის საშუალებათა შექმნის პროგრამა. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია, შეიქმნას დამჭერი, რომელიც შეძლებს „ჩამოაგდოს“ ორბიტიდან საბჭოთა თანამგზავრი“.

1977 წლის 7 აგვისტოს ნომერში (№183 (17261)) ყურადღება გამახვილებულია აშშ-ის მიერ ნეიტრონული ბომბის შექმნაზე. სტატიაში „ნეიტრონული ბომბი უნდა აიკრძალოს“, ვკითხულობთ: „მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომელიც პროტესტს აცხადებს პენტაგონის იმ დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ, რომ დაიწყოს მასობრივი მოსპობის იარაღის ახალ ნაირსახეობათა წარმოება, ამავე დროს სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ გეგმების რეალიზაციას უეჭველად მოჰყვება მთელი რიგი შორს გამიზნული ნეგატიური საგარეო-პოლიტიკური შედეგები.

...როცა ამერიკის პროპაგანდა ქადაგებს ყალბ იდეას, თითქოს ნეიტრონული ბომბი „ძირფესვიანად განსხვავდებოდეს ატომური იარაღისაგან“, ეს იმის პირობებს ქმნის, რომ ფსიქოლოგიურად გაადვილდეს ნეიტრონული ბომბის გამოყენება, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ატომური იარაღის ერთგვარი ნაირსახეობაა“.



გაზეთი „კომუნისტი“, 1977, 7 აგვისტო, №183 (17261)

ნეიტრონული ბომბის თემატიკას ეძღვნება რამდენიმე კარიკატურა 1978 წლის გაზეთებიდან.



„კომუნისტი“, 13 იანვარი, 1978, №11 (17393)



გაზეთი „კომუნისტი“, 8 იანვარი, 1978, №7 (17389)



გაზეთი „კომუნისტი“, 28 იანვარი, 1978, №24 (17406)

„კომუნისტი“ მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების კრიზისულ ფონს და წარმოქმნილ პრობლემათა გადაჭრის მცდელობებს დასავლურ ქვეყანათა „მოჩვენებით ერთიანობას“ უწოდებდა. ამის ნათელი მაგალითია 1977 წლის 3 თებერვლის ნომერში (№28 (17106)) გამოქვეყნებული სტატია „როცა თანხმობა არ არის“, რომელშიც განხილულია „საერთო ბაზრის“ ნევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ვადაზე ადრე დასრულებული თათბირი, რომელზეც უნდა განხილულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებთან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ურთიერთობის პერსპექტივები ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ. გაზეთში ვკითხულობთ: „ადგილობრივ წრეებში აღნიშნავენ, რომ მინისტრებმა, რომლებიც დახურულ დარბაზში თათბირობდნენ, უარი თქვეს მთელი რიგი საკითხების განხილვაზე, რათა თავიდან აეცილებინათ უთანხმოების გამწვავება და შეენარჩუნებინათ მოჩვენებითი ერთიანობა“.

1977 წლის 20 თებერვლის „კომუნისტში“ (№43 (17121)) რუბრიკაში - მსოფლიო ამბები, ფაქტები, პრობლემები – ვხვდებით 17 თებერვალს, ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის ელჩის, ა. თ. დობრინინის სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელთან, ა. ჰარიმანთან ვიზიტის განხილვას. სტატიის სათაურია **„სხვათა საქმეებში ჩარევა შეუწყნარებელია“**. აღნიშნულ სტატიაში საუბარია დობრინინის რეაქციაზე ჰარიმანის განცხადებებთან და ქმედებებთან მიმართებით, რომელიც, როგორც ავტორი აღნიშნავს, არ ეთანხმებოდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის პოზიტიური განვითარების მიზნებს. სსრკ-ის ელჩის განცხადებით: „საბჭოთა მხარე ვერ შეურიგდება იმის ცდებს, რომ

„ადამიანის უფლებათა დაცვის“ მომხმარებელი საბაბით ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში, საკითხებში, რომლებიც სახელმწიფოთა საშინაო კომპეტენციას შეადგენს“.

სტატიაში ასევე საუბარია საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამომავლო მშვიდობიანი თანაარსებობის განმაპირობებელ ფაქტორებზე: „სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიანი თანაარსებობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა ორივე ხალხის ინტერესებისათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება განვითარდეს ნაყოფიერად, როცა ეყრდნობა სუვერენიტეტისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების ურთიერთპატივისცემას, როგორც ეს ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ფუძემდებელ დოკუმენტებში“.



გაზეთი „კომუნისტი“, 1977, 3 აპრილი, N78 (16815)

„კომუნისტის“ ფურცლებზე ასევე შევხვდებით ანტისაბჭოთა პროპაგანდისტულ ქმედებებში დადანაშაულების მცდელობებს, რაც, როგორც ყოველთვის, ძირითადად, მიმართული იყო აშშ-ისკენ, ერთეულ შემთხვევებში ევროპისა თუ აზიის ქვეყნებისკენ. 1977 წლის 8 მარტის ნომერში (№56 (17134)) გამოქვეყნებულ სტატიაში „პროვოკაციული გამოფენა“, ვკითხულობთ: „კონგრესის ბიბლიოთეკაში გაიხსნა პროვოკაციული ანტისაბჭოთა გამოფენა იმ აურზაურთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა აქვთ

ატეხილი სოციალისტურ ქვეყნებში ეგრეთ წოდებული „მოქალაქეობრივი უფლებების“ დარღვევის საკითხის გამო. გამოფენაზე ავრცელებენ ბროშურას, რომელიც ანტისაბჭოური ხასიათის ტენდენციურ მონაჭორს შეიცავს. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამერიკის ოფიციალური ორგანიზაციის მიერ მონყობილი ამგვარი გამოფენა ეწინააღმდეგება ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნებს, აგრეთვე ჰელსინკის შეთანხმების ფორმასა და შინაარსს“.

აღნიშნული ნარატივის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ, 1977 წლის 12 მარტის ნომერში (№59 (17137)) გამოქვეყნებული კარიკატურა, რომელიც ეძღვნება ინგლისის როლის კონსტატირებას ანტისაბჭოთა პროპაგანდაში. კარიკატურის აღწერაში ვკითხულობთ: „ინგლისის ბურჟუაზიული პრესა ცდილობს სტრასბურგის სასამართლო პროცესი ოლსტერში ინგლისის ხელისუფალთა მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ წარმოადგინოს უბრალო „დავად“ ორ სახელმწიფოს შორის. ამავე დროს იგი არ იშურებს თავის ფურცლებს საბჭოთა კავშირის შესახებ ათასგვარი მონაჭორისათვის (გაზეთებიდან)“.



გაზეთი „კომუნისტი“, 1977, 12 მარტი, N59 (16796)

1977 წლის „კომუნისტი“ ყურადღება გამახვილებულია ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებზე, ისრაელის კონფლიქტებზე, რომელთა აღმოფხვრის ხელის შეშლაში დადანაშაულებულია ამერიკის შეერთებული შტატები. 16 ოქტომბრის (№243 (17321)) სტატიაში „ოკუპანტთა გეგმები“, საუბარია ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მ. დაიანის განცხადებებზე, რომელმაც „კვლავ დაადასტურა ტელ-ავივის მისწრაფება განაგრძოს 1967 წელს მიტაცებული ტერიტორიების ოკუპაცია... მან გამოთქვა ისრაელის ხელისუფალთა მტკიცე განზრახვა შეინარჩუნონ საოკუპაციო ჯარები მდინარე იორდანის

დასავლეთ ნაპირზე. ისრაელის მინისტრმა ხაზი გაუსვა, ტელ-ავივის ხელისუფალნი არასოდეს არ დათანხმდებიან, რომ შეიქმნას პალესტინის დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო”.

1977 წლის 18 მარტის ნომერში (№64 (17142)), სტატიაში „ანექსიის წაქეზება“ საუბარი იყო ისრაელის პრემიერ-მინისტრის ი. რაბინის განცხადებაზე ქნესეთის სხდომაზე აშშ-ში ვიზიტსა და პრეზიდენტ ჯ. კარტერთან მოლაპარაკების შესახებ. სტატიის მიხედვით, რაბინის განცხადებით, კარტერმა ხაზი გაუსვა ისრაელის პოლიტიკურ საზღვრებსა და დაცვით საზღვრებს შორის განსხვავებას და ნაბიჯი გადადგა მათკენ. ავტორი აღნიშნავს: „თუ რას ნიშნავს ისრაელის „დაცვითი საზღვრები“, ამას ყველაზე უკეთ მოწმობს ოკუპანტების საქმიანობა მიტაცებულ არაბულ ტერიტორიებზე. **დღეს ეს „საზღვრები“ გამოჰყავთ არა ტუშით რუკაზე, არამედ სამხედრო სიმაგრეთა ამბრაზურებით, სტრატეგიული გზების ასფალტით, გასამხედროებულ დასახლებათა ბეტონის ბლოკებით მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, სინაის ნახევარკუნძულსა და გოლანის მაღლობზე.** ტერიტორიას, რომელიც ტელ-ავივს სურს „დე-ფაქტოდ“ გადააქციოს ისრაელის ტერიტორიად 1976 წლის საზღვრების „უმნიშვნელოდ შეცვლის“ ფარგლებში, რასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში გეგმავენ, როგორც ჩანს, არ აპირებენ დაუბრუნონ არაბებს”.

ისრაელის წინააღმდეგ მიმართული სტატიების უმრავლესობა პარალელურად გამოკვეთდა აშშ-ის როლს. „კომუნისტის“ 1977 წლის 17 მარტის ნომერში (№63 (17141)) გამოქვეყნებულია კარიკატურა სათაურით „აგრესორის ხელშემწყობი“, რომლის აღწერაშიც ვკითხულობთ: „ვაშინგტონის მხარდაჭერით გამხნეებულმა ისრაელის პრემიერმა განაცხადა, საკვანძო საკითხებში არ ნავალ დათმობაზეო და წლეულს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების საქმეში პროგრესის მიღწევის იმედს „არარეალისტური“ უწოდა (გაზეთებიდან)”.



გაზეთი „კომუნისტი“, 17 მარტი, 1977, №63 (17141)

1977 წლის „კომუნისტის“ საკვანძო თემებთან მიმართებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძირითად საკითხებად გამოყენებულია აშშ-ის, იაპონიის, ჩინეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ისრაელის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის სხვადასხვა ქვეყნისა და ა.შ. პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამხედრო თუ საომარი დღის წესრიგი. თუმცა საგაზეთო ნომერთა 90%, ფაქტობრივად, აშშ-ის მიმდინარე ქმედებებსა თუ სამომავლო გეგმების გაშუქებას ეძღვნება.

ახლო აღმოსავლეთის ამბების გაშუქება აქტიურად გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც ისრაელ-ეგვიპტის კონფლიქტის ქრილში. იგმობოდა აშშ-ის მიერ ისრაელის მხარდაჭერა, ხოლო ეგვიპტის მცდელობებს, ისრაელთან ურთიერთობები მოენესრიგებინა, „კომუნისტი“ ანტიარაბულ შეთქმულებასა და სეპარატიზმს უწოდებდა. ამ ქვეყნებზე აქცენტი განსაკუთრებით მახვილდება 1978 წლის დასაწყისში, 6 იანვრის ნომერში (№5 (17387)) საუბარია პრეზიდენტ კარტერის ვიზიტზე ახლო აღმოსავლეთში, რუბრიკა დასათაურებულია ასე: „ანტიარაბული შეთქმულება“.

ზუსტად იგივე პათოსი იგრძნობოდა მომდევნო თვეების გამოცემებშიც. სიტუაცია, გასაგები მიზეზების გამო, იცვლება სექტემბერში, როდესაც კემპ დევიდში ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო შეთანხმება დაიდო. 21 სექტემბრის ნომერში (№222 (17604)) პირველადაა შეფასებული ისრაელ-ეგვიპტის სამშვიდობო შეთანხმება, რომელსაც „კომუნისტი“ საფრთხედ აღიქვამს და უწოდებს აშშ-ის, ისრაელის, ეგვიპტისა და ირანის „საშიშ ალიანსს“, მიმართულს არაბული სამყაროსა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

აქტიურად გრძელდებოდა ამერიკული ვალუტის მერყეობის გამო კაპიტალიზმის კრიტიკა („ავადმყოფი“ ამერიკული ვალუტა), ევროპაში უმუშევრობის გამო ამერიკის დადანაშაულება. ვალუტის მსგავსი მერყევი კურსი მოსალოდნელიც იყო, რადგან ეს არის ე.წ. „კაპიტალიზმის ოქროს ხანის“²⁵ დასასრულის შემდგომი პერიოდი – მსოფლიომ 1973-75 წლებში დიდი რეცესია გადაიტანა²⁶ და ზუსტად ამით აიხსნება არსებული უმუშევრობაც. ეს არ არის ტყუილი, თუმცა ინფორმაციით მანიპულირება და არასწორი კუთხიდან წარმორჩენაა.



გაზეთი „კომუნისტი“, 10 იანვარი, 1978, № 8 (17390)

ხშირია, ასევე აშშ-ის კრიტიკა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის გამო. თუმცა ეს წარმორჩენილია ისე, რომ ამით საკუთრივ ეს ქვეყნები წუხდებიან და მათ რეალურად არ სურთ დასავლეთის დახმარება. გაზეთს წყაროდ მოჰყავს ამ ქვეყნებში არსებული კომუნისტური პარტიის ციტატები, რომლებშიც, ბუნებრივია, მხარს უჭერს საბჭოთა პოლიტიკას. „კომუნისტის“ 1978 წლის 20 იანვრის ნომერში (№17 (17399)) მაგალითად მოჰყავთ ერთ-ერთი იტალიელი კომუნისტი პოლიტიკოსის სიტყვები, რომლებშიც ის აშშ-ს იტალიის შიდა საქმეებში ჩარევის გამო აკრიტიკებს. კომუნისტი პოლიტიკოსი გმობს სახელმწიფო

²⁵ იხილეთ მეტი ბმულზე: <https://www.un.org/development/desa/dpad/tag/golden-age-of-capitalism/>

²⁶ იხილეთ მეტი ბმულზე: <https://www.statista.com/topics/8095/the-1973-1975-recession/#topicOverview>

დეპარტამენტის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკისთვის იტალიისა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობებში კომუნისტების მონაწილეობა „არასასურველია“. თანდართულია შესაბამისი კარიკატურაც.



გაზეთი „კომუნისტი“, 20 იანვარი, 1978, №17 (17399)

იშვიათად, პროპაგანდა სწვდებოდა ხელოვნების სფეროსაც და მისი ყურადღების მიღმა არ რჩებოდა განსაკუთრებით ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც საბჭოთა კავშირი იყო ასახული. 1979 წლის 28 აგვისტოს (№200 (17883)) ერთ-ერთ ასეთ სტატილაში „კვლავ ჯეიმს ბონდი“ საუბარია რიგით მეთერთმეტე ფილმზე Moonraker (როგორც გაზეთი უწოდებდა, „მთვარეული მანანალა“), რომლის შესახებ ავტორი წერდა: „უკვე 17 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა „დოქტორი ნხო“ - პირველი ფილმი ბრიტანეთის ყოფილი აგენტის იან ფლემინგის წიგნების მიხედვით გადაღებული სერიიდან. 17 წლის შემდეგ ჯეიმს ბონდი, რომელიც ოდნავადაც კი არ მოხუცებულა, ისეთივე ყოჩაღი დაქრის ამქვეყნად და ასრულებს თითქოს სრულიად შეუძლებელ დავალებებს. ათენის ანტიკური ნანგრევები და კარიბის ლაჟვარდოვანი ზღვა, იაპონიის მთები და ამაზონკის ჯუნგლი... სად არ ყოფილა იგი „ჭეშმარიტი ცივილიზაციის“ უბოროტესი მტრების საძიებლად, რომლებიც ტრადიციულად ან გადარეული და ფანტასტიკურად მდიდარი მანიაკები არიან და მსოფლიოს დამორჩილება განუზრახავთ, ან... „კრემლის აგენტები“.“

გასაკვირი არ არის, რომ ხელოვნება ხშირად ხდებოდა პოლიტიკური იარაღი და ეს საბჭოთა კავშირის მესვეურებს კარგად ჰქონდათ გააზრებული. 1970-იან წლებში კი, როდესაც დასავლური კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესი იზრდება, საბჭოთა მედია ცდილობს რკინის ფარდიდან ნაწილობრივ დანახული კულტურის ელემენტების დისკრედიტაციას.

პროპაგანდისტის აქტუალური საკითხი იყო სპორტიც, განსაკუთრებით 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადისა და 70-მდე ქვეყნის ბოიკოტის ფონზე, რომლებმაც უარი განაცხადეს ოლიმპიადაში მონაწილეობაზე საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში დაწყებული ომის გამო.



გაზეთი „კომუნისტი“, 4 აპრილი, 1980, № 79 (18062)

1980 წლიდან პროპაგანდისტული კამპანიის ძირითადი ნარატივი შეეხება ავღანეთის ომს, რომელიც საბჭოთა კავშირმა 1979 წლის 25 დეკემბერს წამოიწყო. ამ პერიოდში შეინიშნება ამერიკისა და დასავლეთის მილიტარისტული ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის გამრავლება, „გამაღებული“ შეიარაღება. საბჭოთა კავშირი კი, მიუხედავად აქტიური ომისა, კვლავ „მშვიდობისმყოფელის სტატუსს“ ინარჩუნებს. 1980 წლის 8 აპრილს „კომუნისტში“ (№82 (18065)) გამოქვეყნებულ ინტერვიუში (ნათარგმნი ფრანგული გაზეთიდან „ლუმანიტე“), ბაბრაქ ქარმალი²⁷ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის შეზღუდული კონტინგენტი

²⁷ ბაბრაქ ქარმალი (1929-1996) - ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა კავშირის КГБ-ს დახმარებით პრეზიდენტის, ჰაფიზულა ამინის (1929-1979), მკვლელობისა და სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული მარიონეტულ ხელისუფლების, ე.წ. „რევოლუციური საბჭოს“, თავმჯდომარე.

ქვეყნიდან გავა მას შემდეგ, რაც აშშ და ჩინეთი პაკისტანში ტერორისტების მომზადებას შეწყვეტენ.

საბჭოთა პროპაგანდის გრანსფორმაცია და თანამედროვე პროპაგანდისტული ნარატივები

ლენინმა და ბოლშევიკებმა მსოფლიოს ერთგვარი „ჟანდარმის“ როლი იქამდე შეითავსეს, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდნენ. ლენინის დოქტრინა მსოფლიო სოციალიზმის ავანგარდში ბოლშევიკების ყოფნის თაობაზე და სლოგანი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ნათლად ასახავდა ამ იდეას.²⁸

თანამედროვე რუსული პროპაგანდა, ამ მხრივ, სოციალიზმის დამცველის აღარ, თუმცა საკუთარ განსაკუთრებულ როლს სხვადასხვა ღირებულებების დაცვის კუთხით მუდმივად უსვამს ხაზს, იქნება ეს ქრისტიანობა/ სულიერება, ოჯახი თუ სხვა ასოცირებული ცნებები. ამ მიზნით, 2000-იანი წლებიდან აქტიურად ხორციელდება ე.წ. *Русский мир*-ის კონცეფციის²⁹ კულტივირება, რომელიც ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს რუსული გავლენისა და ორბიტის ქვეშ მოიაზრებს და რუსეთისთვის ჩარევის უფლებას ითვალისწინებს, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ქვეყნები რუსეთისთვის მიუღებელ საგარეო კურსს აირჩევენ. რუსეთის შიგნით კი *Русский мир*-ის კონცეფცია ხაზს უსვამს რუსული ცივილიზაციის, როგორც ტრადიციული ღირებულებებისა და ქრისტიანობის უკანასკნელ ბასტიონის, გამორჩეულობას. ფონდ *Русский мир*-ს საქართველოშიც ჰყავს პარტნიორები³⁰.

საგულისხმოა კონცეფციისა და ფონდის სახელწოდებაც, რომელიც, ორი აზრით შეგვიძლია ვთარგმნოთ: რუსული სამყარო და რუსული მშვიდობა (Pax Russica).

როგორც სტივენ კოტკინი ამბობს³¹, რუსეთი მიიჩნევს, რომ გააჩნია „სპეციალური ადგილი“ ან „სპეციალური მისია“ მსოფლიოში და თავს არა ცალკე აღებულ ქვეყნად, არამედ განსხვავებულ ცივილიზაციად მიიჩნევს. აღნიშნული ნარატივი თანამედროვე რუსეთში, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ცივი ომის პერიოდის პოლიტიკის გავლენაცაა საბჭოთა კავშირის

²⁸ Service, Robert, and Robert Service. A History of Modern Russia: From Tsarism to the Twenty-First Century. 3rd ed. Cambridge, Mass: Harvard University Press, 2009.

²⁹ იხილეთ მეტი ბმულზე:

http://mdfgeorgia.ge/uploads/library/117/file/%E2%80%99Crusuli_samyaro%E2%80%99D_saqarTveloSi.pdf

³⁰ იხილეთ მეტი ბმულზე: http://www.damoukidebloba.ge/c/news/rusuli_fondebi_sagartveloshi

³¹ იხილეთ მეტი ბმულზე: <https://www.newyorker.com/news/g-and-a/stephen-kotkin-putin-russia-ukraine-stalin>

უპირველეს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოში. შესაბამისად, რუსეთი ცდილობს, საკუთარი დღის წესრიგის დიქტატი გაავრცელოს მსოფლიო მასშტაბით, თუმცა მისი შესაძლებლობები არასოდეს ემთხვევა მის მისწრაფებებს.³²

კომუნისტური პროპაგანდის გავრცელების ერთ-ერთი მოტივი საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე სივრცედ წარმოჩენა იყო. მაგალითად, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, რომლითაც ნაცისტურმა გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა პოლონეთი, ფაქტობრივად, ორ ნაწილად გაიყო და მეორე მსოფლიო ომის დაწყება გამოიწვია, მშვიდობისკენ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად იყო აღიარებული.³³

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული პაქტის საიდუმლო პუნქტები მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა საჯარო. ბოლო წლების მანძილზე, რუსეთის ოფიციალური პირები და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მედია აწარმოებენ გრძელვადიან საინფორმაციო ოპერაციას, რომლის ძირითადი ტაქტიკა არის მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის კონტექსტის შეცვლა³⁴ და მისი გაიგივება სხვა ევროპული სახელმწიფოების მიერ ნაცისტურ გერმანიასთან გაფორმებულ აგრესიის სანინააღმდეგო შეთანხმებებთან (მაგ.: მიუნხენის შეთანხმება).

თანამედროვე რუსეთი ხშირად პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებში ცრუ დილემის ავტორია. აღნიშნული ფსევდო-დილემა გვევლინება მშვიდობისა და თავისუფლების შეპირისპირებული ფორმით, სადაც თითქოს რუსეთის გავლენის ქვეშ დარჩენა მშვიდობას ნიშნავს. ბუნებრივია, მსგავსი პოლიტიკა კვლავ რუსეთის ძალაუფლების გავრცელებას ემყარება და აძლიერებს მისწრაფებას, გავლენა მოახდინოს შესაბამის გეოგრაფიულ არეალში მდებარე ქვეყნებზე.

უკრაინაში დაწყებული ომიც ზემოთ აღნიშნულის გამოძახილია. რუსული პროპაგანდა რუსეთის უკრაინაში ხელახალ ომს წარმოაჩენს როგორც „სპეციალურ ოპერაციას“ უკრაინის დენაციფიკაციისა და მშვიდობის უზრუნველყოფისთვის. ომის დაწყებამდე რუსეთი სხვადასხვა ნაბიჯით ნიადაგს ამზადებდა ინტერვენციისთვის, თუმცა ყველა ნაბიჯი „მშვიდობის“ ცნებით ინილბებოდა. მაგალითად, უკრაინაში „ევრომაიდნიდან“ მოყოლებული, რუსეთის მთავარი დეზინფორმაციული ნარატივი უკრაინის წინააღმდეგ არის ის, რომ უკრაინა აგრესიულია და ავიწროებს დონბასის მოსახლეობას. 2022 წლის 18 თებერვალს ლუჰანსკის და დონბასის თვითგამოცხადებულმა, რუსეთის მხარდაჭერილმა

³² “A Scholar of Stalin Discusses Putin, Russia, Ukraine, and the West | The New Yorker.” Accessed December 13, 2022. <https://www.newyorker.com/news/q-and-a/stephen-kotkin-putin-russia-ukraine-stalin> .

³³ Anthony Rhodes, Propaganda: The art of persuasion: World War II, Chelsea House Publishers, New York, 1976, p.216-217.

³⁴ იხილეთ მეტი ბმულზე:

<https://www.theguardian.com/world/2019/aug/23/moscow-campaign-to-justify-molotov-ribbentrop-pact-sparks-outrage>

ლიდერებმა, მშვიდობიანი მოქალაქეების რუსეთში ევაკუაცია გამოაცხადეს. ევაკუაციას, „აგრესიული უკრაინის“ ნარატივის საფუძველზე, 22 თებერვალს რუსეთის სახელმწიფო დუმის მხრიდან დონბასის რეგიონის თვითგამოცხადებული სუბიექტების აღიარება მოჰყვა³⁵. მიუხედავად იმისა, რომ დონბასის აღიარება უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა იყო, რუსეთის ოფიციალური პირები ამბობდნენ, რომ ეს აღიარება მშვიდობის უზრუნველყოფისთვის იყო აუცილებელი. 24 თებერვალს კი რუსეთმა „მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაცია“ წამოიწყო.

მაგალითად, 2022 წლის 10 მარტს, რუსეთის უკრაინაში ინტერვენციიდან 2 კვირის თავზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, თქვა³⁶, რომ რუსეთი უკრაინას თავს არ დასხმია, არამედ უკრაინამ შექმნა რუსეთისთვის საფრთხის შემცველი სიტუაცია. მსგავსადვე, საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ 17 მარტს განაცხადა³⁷, რომ „რუსეთი არ ბომბავს ქალაქებს“.

რუსეთის დეზინფორმაციის კარგად აპრობირებული ტაქტიკაა, დააბრало მოწინააღმდეგეს ის, რაშიც თავად ხარ დამნაშავე. რუსეთი, მშვიდობისმყოფელის იმიჯის შენარჩუნებით, ცდილობს პასუხისმგებლობა აირიდოს და ის აგრესიის მსხვერპლს დააკისროს.

ისევე როგორც 70-იან წლებში, თანამედროვე რუსეთი დღესაც აქტიურად ავრცელებს³⁸ სხვადასხვა ტიპის კონსპიროლოგიურ თეორიას ბიოლოგიური იარაღის, ცხოველთა სამხედრო მიზნებით გამოყენების, სამხედროებზე ჩატარებული ცდების შესახებ, რაც, უკრაინაში დაწყებული ომის შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდა.

2022 წლის თებერვლიდან, რუსული სახელისუფლებო პროპაგანდისტული მედიასაშუალებები აქტიურად ავრცელებენ დეზინფორმაციას ამერიკის მიერ სამხედროებზე ცდების ჩატარებასთან დაკავშირებით. კრემლის მოწინააღმდეგე მედიამ - **Настоящее Время** - დაადგინა³⁹, რომ ძალიან ბევრი ინფორმაციის პირველწყარო ბულგარელი ჟურნალისტი, დილიანა გაიტანჯიევაა. იგი დაუსაბუთებელ ინფორმაციას ვებგვერდის - **dilyana.bg** - საშუალებით ავრცელებს, სადაც ვითომ და „გაჟონილი დოკუმენტების“ საშუალებით ასაბუთებს მოსაზრებებს. გაიტანჯიევა წლების წინ სკანდალში გაეხვა, მას

³⁵ იხილეთ მეტი ბმულზე:

<https://iz.ru/1295022/2022-02-22/gosduma-22-fevralia-ratifikiruet-priznanie-nezavisimosti-lnr-i-dnr>

³⁶ იხილეთ მეტი ბმულზე:

<https://www.euronews.com/2022/03/10/ukraine-war-russia-did-not-attack-ukraine-says-lavrov-after-meeting-kuleba>

³⁷ იხილეთ მეტი ბმულზე: <https://twitter.com/iameurmishvili/status/1504416003396194308>

³⁸ იხილეთ მეტი ბმულზე: <https://bit.ly/3gxOGwe>

³⁹ იხილეთ მეტი ბმულზე:

<https://www.currenttime.tv/a/another-fake-od-russian-propaganda-debunked/31672434.html>

შემდეგ, რაც ერთ-ერთ სიუჟეტში აზერბაიჯანელი დიპლომატების მიერ ტერორისტებისთვის იარაღის გადაზიდვაზე ისაუბრა. ბულგარეთის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურმა გამოარკვია, რომ ეს ინფორმაცია ე.წ. „ფეიკი“ იყო, რის შემდეგაც ჟურნალისტი სამსახურიდან დაითხოვეს.

ბოლო წლების მანძილზე მიმდინარეობს ორკესტრირებული შეტევა პოსტსაბჭოთა სივრცეში გახსნილი ამერიკული ლაბორატორიების მიმართ. საქართველოში ლუგარის ლაბორატორია გამუდმებით არის დეზინფორმაცორთა თავდასხმის ობიექტი⁴⁰. საგულისხმოა, რომ ლუგარის ლაბორატორიის შესახებაც ყველაზე მეტ ინფორმაციას ზემოხსენებული ბულგარელი ჟურნალისტი გაიტანჯიევა ავრცელებდა.

1976 წლის 14 იანვრის (№11 (16782)) საინფორმაციო სვეტში „სააშკარაოზე გამოტანილი საიდუმლოება“, განხილული იყო „კონფლიქტის შემსწავლელი ინსტიტუტი“, რომელიც, „კომუნისტის“ მტკიცებით, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხარდაჭერით შეიქმნა და ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეებში ერეოდა. ორგანიზაციის დამაარსებელი და დირექტორი იყო ბრაიან კროზიერი (Brian Rossiter Crozier)⁴¹, ჟურნალისტი და ანტიკომუნისტური მოძრაობის აქტივისტი, რომელიც წერდა როიტერსისა (Reuters) და ეკონომისტისთვის (The Economist), იყო სანდეი თაიმსის (The Sunday Times) რედაქტორი და ბიბისის (BBC) კომენტატორი. იგი ხელისუფლების საკმაოდ მაღალ წრეებში მოღვაწეობდა და დატოვა მრავალი ნაშრომი კომუნიზმისგან მომავალ საფრთხეებზე. ამ ორგანიზაციის საქმიანობა გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, ის 1970-1989 წლებში რეგულარულად აქვეყნებდა ანგარიშებს⁴² ფინანსური შემოსავლების შესახებ.

ისტორიული და თანამედროვე მსგავსება ისაა, რომ, როგორც წესი, დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი ორგანიზაციები გამჭვირვალედ მოქმედებენ თავიანთი მიზნებისა და განსახორციელებელი აქტივობების ფარგლებში. რუსეთიდან დაფინანსებული ანალოგიური ორგანიზაციები, რომლებიც რუსული რბილი ძალის იარაღს წარმოადგენენ არასამთავრობო სექტორსა და მედიაზე, პრაქტიკულად არასოდეს აქვეყნებენ ფინანსურ ანგარიშებს⁴³, რის შესახებაც IDFI 2015 წელს გამოქვეყნებულ სრულფასოვან კვლევაშიც საუბრობდა.

⁴⁰ იხილეთ მეტი ბმულზე: https://idfi.ge/ge/russian_information_war_against_lugar_laboratory

⁴¹ იხილეთ მეტი ბმულზე: <https://www.theguardian.com/politics/2012/aug/09/brian-crozier>

⁴² იხილეთ მეტი ბმულზე: https://powerbase.info/index.php/Institute_for_the_Study_of_Conflict

⁴³ იხილეთ მეტი ბმულზე:

<http://www.damoukidebloba.ge/assets/up-modul/uploads/pdf/rusuli%20gavlena%20media%20da%20NGO-1.pdf>

დასკვნა

საბჭოთა კავშირში „რკინის ფარდის“ მიღმა არსებულ სიტუაციასა და, ზოგადად, დასავლეთის ხატსახეზე იქმნებოდა არაერთი ნარატივი თუ ვიზუალური პროდუქტი, რომლებიც პრესის საშუალებით ვრცელდებოდა. ნარატივების მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთმნიშვნელოვანი იყო მათი შინაარსი და მთავარი სათქმელი – დასავლეთში ცხოვრება უარესია, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

ზემოთ განხილული, მანიქეიზმის სტილში ჩამოყალიბებული შავ-თეთრი სათქმელი სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. პირველ ასეთ ფორმად შეგვიძლია მოვიაზროთ დასავლეთის, როგორც არასტაბილური სივრცის, ქაოსურის და ეკონომიკურად დაუცველის, ნარატიული წარმოდგენა. ეკონომიკურ სიღუბჭირე და, ზოგადად, კაპიტალისტური სისტემის ჩავარდნა ხშირად იყო ხაზგასმული „კომუნისტის“ მიმოხილვაში. გარდა ამისა, დასავლეთში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა და პოლიტიკაც კი ხდებოდა დეზინფორმაციისა და ნეგატიური კონტურების [framing] ინსტრუმენტი.

მეტ-ნაკლებად მატერიალური და ყოველდღიურ ცხოვრებაში შესამჩნევი საკითხების გარდა, პრესის ფურცლებზე დასავლური დემოკრატიის სტანდარტის შეფასებასაც გადააწყდებოდა. საბჭოთა კავშირის პერსპექტივიდან, როგორც ჩანს, დასავლური დემოკრატია არასრულფასოვანი ჩანდა - შეკვეცილი ქალთა უფლებებითა და დარღვეული სიტყვის თავისუფლებით. „კომუნისტის“ ფურცლები ხშირად დასავლურ დეზინტეგრაციაზე, ერთიანი აზრისა თუ პოლიტიკის ჩამოყალიბების სირთულეებზე საუბრობდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასტაბილური სოციალ-ეკონომიკური თუ დემოკრატიული სისტემის მიუხედავად, „კომუნისტის“ რედაქცია ხშირად სწორედ „დასავლურ“ წყაროებს იმონებდა, რათა საკუთარი ნარატივისთვის მეტი ლეგიტიმაცია მიენიჭებინა. თავისთავად, საინტერესო ფაქტია, რომ თანამედროვეობაშიც დასავლური დემოკრატიული სტანდარტი ერთდროულად გაკიცხული და მოწონებულია, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეხმიანება ის რუსულ ნარატივსა და პოლიტიკას.

თანამედროვე ანტიდასავლური წარმოდგენების ფესვებს დავინახავთ ასევე 1970-იანი წლების პრესაში დასავლური ცხოვრების სტილის აღწერაზე დაკვირვებისას. საბჭოური პროპაგანდა დასავლურ ცხოვრების სტილს ცალსახად უკავშირებდა ნარკომანიას, ძალადობასა და რასიზმს, ამ უკანასკნელზე განსაკუთრებული ხაზგასმით. პროპაგანდა ამერიკელ ახალგაზრდა თაობას, ჯანსაღი ცხოვრების წესისგან შორს, ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანებად განიხილავდა.

ისევე როგორც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკასა თუ (პრო)რუსულ მედიაში, 1970-იან წლებშიც დასავლეთს დროგამოშვებით ორმაგი სახე ჰქონდა. მეორე, დადებითი სახე კი მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე საბჭოური პრესის ნარატივებში, როდესაც ის საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მართებულობის დასტურად ან მის გამამართლებლად შეიძლებოდა გამოყენებულიყო. თანამედროვე მსოფლიოში რუსული პოლიტიკა ხშირად სწორედ „ანტიდასავლურ დასავლურ“ ძალებთან კეთილმეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩევა.

ბოლოს, საბჭოური ნარატივის მიხედვით, დასავლეთთან მეგობრული დამოკიდებულება შეპირისპირებული იყო ამ უკანასკნელის ტენდენციას, ჩარეულიყო „საბჭოთა კავშირის შიდა საქმეებში.“ აღნიშნული ნარატივის გაგრძელება შესამჩნევია ცივი ომის დასრულების შემდგომ რუსეთის დამოკიდებულებაში პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებისა და მათი თავისუფალი არჩევანის მიმართ.